# ახალი განათლება

22-28.11.2018

№35 (829) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge




ერთიანი ეროვნული გამოცდები 2019 — ცვლილებები

## არაფრის მომცემი არჩევითი პასუხების შემოხაზვა წარსულს ჩაბარდება

გვ. 2

სამყაროში ყველაფერი იცვლება და იცვლება განათლების სისტემაც, ამიტომ არ შეიძლება, გამოცდა სულ ერთნაირი იყოს წლების განმავლობაში, რა თქმა უნდა, გამოცდაც უნდა შეიცვალოს. საერთოდ, ერთი და იმავე ტიპის და ერთი და იმავე ფორმატის გამოცდა ყოველთვის იშტამპება და ზეპირ „შპარგალკებში" გადის, რაც, სხვათა შორის, ნაკლებად გვაძლევს საშუალებას, რომ ობიექტურად შეფასდეს აბიტურიენტების უნარები და ცოდნა.

კახა ჯამბურია

გრამატიკა ენის ხერხემალია ყველა ენაში და თუ ადამიანმა გრამატიკა არ იცის, ვერც წაიკითხავს, ვერც მოისმენს, ვერც იმეტყველებს და ვერც დაწერს. აქედან გამომდინარე, როგორ შეიძლება გრამატიკის იგნორირება, პირიქით, ძველებურად ძალიან კარგად უნდა ასწავლონ და მეტიც, კიდევ უფრო კარგად. ამავე დროს, მასწავლებლებმა და აბიტურიენტებმა მეტად მიაქციონ ყურადღება იმას, რომ ნასწავლის გამოყენება შეძლონ წერითი დავალების შესრულებისას.

რუსუდან ტყემალაძე

### მულტილინგვური განათლება

არაქართულენოვან სკოლებში გარკვეული ცვლილებების შემტანი სწორედ ის ქართული ენის მასწავლებლები აღმოჩნდნენ, რომლებიც წარგზავნილები არიან იქ. საკმაოდ კვალიფიციურები, კარგად მომზადებულები გარკვეული ცვლილებების კატალიზატორები გახდნენ ადგილებზე, მათ შორის, პროფესიული განვითარების თუ სხვა სიახლეების შეტანის თვალსაზრისით. მათ გარკვეული პოზიტიური როლი ითამაშეს არა მარტო ენობრივად, ზოგადად სასკოლო კულტურის მეტნაკლებად შეცვლის თვალსაზრისითაც. თუმცა, შესაძლებელია უფრო მეტის მიღწევა, ამ მასწავლებლების გამოყენებით.

ჩვენი პროექტი სწორედ ამაზეა ორიენტირებული, რომ ქართული ენის ამ მასწავლებლებს დაევალოთ ბუნების მასწავლებლებთან ერთად მუშაობა და იმ შემთხვევაში, თუ ბუნების მასწავლებელმა არ იცის ქართული, მასთან ერთად ჩაატარონ გაკვეთილები. მეორე მხრივ, ქართული ენის პედაგოგმა უნდა აიღოს ვალდებულება, რომ ორი წლის განმავლობაში, პროექტის მიმდინარეობისას, უზრუნველყოფს ამ კონკრეტული მასწავლებლის სწავლებას, რათა დაწყებითების მასწავლებელმა დამოუკიდებლად შეძლოს ქართულად სწავლება. ჩვენ არ მოვთხოვთ მათ, რომ მთელ სკოლას ან მთელ თემს ასწავლონ, რაც იმთავითვე არარეალისტურია, არამედ – კონკრეტულ ადამიანებს, რომლებიც შემდგომ გააგრძელებენ იმ საქმეს, რომელსაც ერთად დაიწყებენ.

შალვა ტაბატაძე




## შევიმეცნოთ სამყარო ქართულ ენაზე

გვერდი 4

*Hüquqşünas məsləhəti*

## იურისტის კონსულტაცია

Իրավաբանի խորհրդատվություն

გვერდი 6

### სამოქალაქო ინტეგრაცია

## ახალი თაობა სახელმწიფო ენის ცოდნის პერსპექტივას ხედავს

გვერდი 7

### ერთიანი ეროვნული გამოცდები — 2019

## საგამოცდო ტესტების ნიმუშები ინგლისურ და ფრანგულ ენებში

გვერდი 8

### ლეონარდო და ვინჩი — 2019

## გამარჯვებულები გამოვლინდნენ

გვერდი 11

ერთიანი ეროვნული გამოცდები 2019 — ცვლილებები

# არაფრის მომცემი არჩევითი პასუხების შემოხაზვა წარსულს ჩაბარდება



ლალი ჯელაძე

ერთიან ეროვნულ გამოცდებში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, აბიტურიენტებს 4 საგანში შეცვლილი ფორმატით მოუწევთ საგამოცდო ტესტების ჩაბარება. ცვლილება შეეხო ქართულ ენასა და ლიტერატურას, არჩევით ლიტერატურას, გეოგრაფიასა და უცხო ენებს. ყველაზე მრავალმხრივი ცვლილება კი ქართული ენისა და ლიტერატურის სავალდებულო გამოცდას შეეხო და 80-ქულიანი ტესტი 70 ქულაზე ჩამოვიდა. ცვლილების თანახმად, ტესტში ახლა 3 დავალება იქნება – ტექსტის რედაქტირება (მაქსიმალური ქულა – 16), არგუმენტირებული ესე (მაქსიმალური ქულა – 24) და მხატვრული ტექსტის ანალიზი (მაქსიმალური ქულა – 30). საგამოცდო ტესტიდან ამოღებულია 15-ქულიანი არჩევითპასუხებიანი დავალება (წაკითხულის გააზრება), მხატვრული ტექსტის ანალიზს კი 5 ქულა დაემატა; შესაბამისად, შემცირდა საგამოცდო დროც და 3 საათი და 45 წუთით განისაზღვრა.

რამ განაპირობა ცვლილება და რა მოლოდინი აქვთ – ამის შესახებ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის ხელმძღვანელი **კახა ჯამბურია** აცხადებს, რომ: *„სამყაროში ყველაფერი იცვლება და იცვლება განათლების სისტემაც, ამიტომ არ შეიძლება, გამოცდა სულ ერთნაირი იყოს წლების განმავლობაში, რა თქმა უნდა, გამოცდაც უნდა შეიცვალოს. საერთოდ, ერთი და იმავე ტიპის და ერთი და იმავე ფორმატის გამოცდა ყოველთვის იმტამპება და ზეპირ „შპარგალკებში“ გადადის, რაც, სხვათა შორის, ნაკლებად გვაძლევს საშუალებას, რომ ობიექტურად შეფასდეს აბიტურიენტების უნარები და ცოდნა.“*

მისივე განცხადებით, ცვლილებები ყოველწლიურად, გამოცდების შემდეგ ჩატარებულმა ფსიქომეტრულმა ანალიზის შედეგებმაც განსაზღვრა: *„ის დავალება, რომელიც ამოვიღეთ – წაკითხულის გააზრება – არ იძლეოდა იმდენად კარგად აბიტურიენტების დიფერენცირების საშუალებას, ანუ ნაკლებად დისკრიმანიციული ღირებულების მქონე დავალება იყო. არადა, ამ დავალების შესრულება მოითხოვდა, დაახლოებით, ნახევარ საათს, სავალდებულო გამოცდა ისედაც საკმაოდ ხანგრძლივი იყო – 4 საათი და 15 წუთი გრძელდებოდა. ამიტომ, ბოლო წლების ანალიზისა და მასწავლებლებთან ჩატარებული კონსულტაციების შედეგად, მივიღეთ გადაწყვეტილება ამ დავალების ამოღების თაობაზე და ცოტათი შევცვალეთ თხზულების შეფასების კრიტერიუმები, სადაც მეტი ყურადღება მიექცა ტექსტის გააზრებას – ხუთი ქულა დაემატა ამ კრიტერიუმებს, შეფასდება არა მარტო ის, რამდენად კარგად იმსჯელა აპლიკანტმა, არამედ, რამდენად კარგად გაიაზრა ტექსტი.“*

კახა ჯამბურია საუბრობს განსაკუთრებით ბოლო წლებში გამოვლენილ შემთხვევებზე, როცა აბიტურიენტები არაადეკვატურ პარალელებს აკეთებდნენ და ამაში, გარკვეულწილად, მასწავლებლების „როლს“ უფრო ხედავს, რადგან: *„ეტყობა, მასწავლებლები ფიქრობდნენ, ოღონდ კი რამე პარალელი იყოს თხზულებაში, რომ ამით აპლიკანტებმა დამოუკიდებელ აზროვნებაში მიიღონ ქულები. ეს არასწორი დამოკიდებულებაა. ასეთი არაადეკვატური პარალელები ახლა, პირიქით, ქულას დააკლებს აბიტურიენტს. გვქონდა ისეთი კურიოზული შემთხვევებიც, როცა აბიტურიენტი „მერანს“„წითელქუდას“ ადარებდა. წარმოიდგინეთ, რამდენად არაადეკვატური და არასწორი დამოკიდებულება იყო საკითხთან; იყო შემთხვევა, როცა აბიტურიენტმა ჰენრი ტოროს ციტატა/მოსაზრება დაიმოწმა „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებით, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა მასთან. საერთოდაც ეს ციტატები მიანიშნებდა იმაზე, რომ ბევრ რამეს იზეპირებდნენ და წინასწარ მომზადებული შტამპების გამოყენებას ცდილობდნენ. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი ტენდენციაა. ამ ცვლილებებით ასეთ ტენდენციებს გადავუკეტეთ გზა და მივეცით შესაძლებლობა იმ აბიტურიენტებს, რომლებიც დამოუკიდებლად აზროვნებენ და შემოქმედებითი უნარი აქვთ, უფრო მეტად გამოიჩინონ თავი. ახლა მათ მეტი დრო ექნებათ თხზულების დასაწერად.“*

გამოიწვევს თუ არა შემთხვევითი სწორი პასუხების ალბათობის შემცირება ბარიერის გადამლახავი აბიტურიენტების შემცირებას – ამის შესახებ კახა ჯამბურია აცხადებს, რომ ამის წინასწარ 100-პროცენტიანი განსაზღვრა ძალიან ძნელია, თუმცა, გამორიცხავს, რომ ამან გაზარდოს გამოცდაზე ჩაჭრილი აბიტურიენტების რაოდენობა: „არა მგონია, იმიტომ, რომ როცა ოთხი პასუხიდან ერთს ირჩევდა აბიტურიენტი, შემდეგ ამ პასუხებს იყენებდა თხზულების წერის დროს. იმ შემთხვევაში, თუ არასწორი ჰქონდა არჩეული, თხზულების წერის დროსაც არასწორი მიმართულებით მიდიოდა და ამაშიც კარგავდა ქულებს. ამიტომ, ამ დავალების ამოღებას ეს გამართლებაც აქვს – ის აბიტურიენტები, რომლებიც შეცდომას უშვებდნენ არჩევითპასუხებიანი დავალების შესრულების დროს, გარკვეულწილად, წერითი დავალების შესრულების დროსაც ზარალდებოდნენ, რადგან ერთი და იმავე ტექსტზე იყო დავალება“.

ჯგუფის ხელმძღვანელი მასწავლებლებს თხოვნით მიმართავს, პირველ რიგში, ნახონ ტესტის ნიმუშები, რომელიც ცვლილებებსა და შეფასების კრიტერიუმების განმარტებებთან ერთად, ნაეკის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. *„ვთხოვ მასწავლებლებს, შევიდნენ ვებგვერდზე და ნახონ როგორია მთლიანად ტესტი, გაეცნონ შეფასების კრიტერიუმებსაც, რადგან აქ გარკვეული ცვლილებებია.“*

საინტერესოა როგორ აფასებენ მასწავლებლები ცვლილებებს – აისახება თუ არა ეს აბიტურიენტების მზადების ტექნიკურ პროცესზე და რა უნდა გაითვალისწინონ მასწავლებლებმა ან რეპეტიტორებმა მათი მომზადებისას? **რუსუდან მეგრელიშვილი**, მეექვსე საავტორო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მიიჩნევს, რომ ტესტი უფრო მეტად ორიენტირებული გახდა აბიტურიენტის ინდივიდუალურ და ანალიტიკურ უნარებზე, ნაწარმოების ადეკვატურ გააზრებაზე. მისი აზრით, აბიტურიენტის მომზადების პროცესს – მათი მეცადინეობის ფორმას ან შინაარსს – ცვლილებები ოდნავადაც არ ეხება. ამბობს, რომ ტესტი კი არ გართულდა, შეიძლება ითქვას, პირიქით, გაიოლებულია, თუნდაც მოცულობის თვალსაზრისით. ცვლილების შედეგად, მისთვის, როგორც პედაგოგისთვის, მუშაობა უფრო საინტერესო და იოლი გახდა.

რუსუდან მეგრელიშვილი საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს განხორციელებულ ცვლილებებზე. როგორც მასწავლებელი და როგორც გამსწორებელი, იმ ხარვეზების დეტალურ ანალიზს აკეთებს, რაც არსებულ ტესტის ფორმას ჰქონდა: *„ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტში წარმოდგენილ ცვლილებებს მივესალმები, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ტესტი მოცულობითი თვალსაზრისით შემცირდა, რაც ძალიან კარგია აბიტურიენტებისთვის, რომელთაც ნაკლები მოცულობის სამუშაოს შესრულება მოუწევთ და უფრო კონცენტრირებული იქნებიან იმაზე, რასაც წერენ. ახლა კი მთავარი: ტესტი უფო მეტად ორიენტირებული გახდა აბიტურიენტის ინდივიდუალურ და ანალიტიკურ უნარებზე, ნაწარმოების ადეკვატურ გააზრებაზე. 2019 წლის საგამოცდო ტესტიდან ამოღებულია ლიტერატურულ ტექსტზე დართული კითხვები, რომლებიც, ტექსტის აღქმის უნარზე იყო ორიენტირებული და, ფაქტობრივად, დაახლოებით, ათ ქულას „ჩუქნიდა“ აბიტურიენტს (გარკვეულწილად, მიმართულებასაც აძლევდა მას, მაგრამ, ძირითადად, მაინც ზღვრის გადალახვას ემსახურებოდა). ეს ე.წ. შემოსახაზი კითხვები (როგორც ჩვენი ახალგაზრდები უწოდებდნენ) შინაარსის სწორად გასააზრებლად იყო მიმართული, მაგრამ, ამავდროულად, აღმოჩნდა ერთგვარი ცდუნება აბიტურიენტთა იმ ნაწილისთვის, რომელსაც ნაკლებად ეხერხებოდა ეპიზოდის ანალიზი და, რაც მთავარია, წერა. საქმე ისაა, რომ მათ ეს სწორი, გამართული ქართულით დაწერილი წინადადებები, შესატყვისი ციტატებით, პირდაპირ გადმოჰქონდათ თავიანთ ნამუშევრებში, ავად თუ კარგად რამდენიმე ფრაზას ჩაუმატებდნენ ან არ ჩაუმატებდნენ და თემაც მზად იყო! ერთი ნაწილი („ჩამატებულ წინადადებიანები“) რაღაც ქულას იღებდა კიდეც და, რაც მთავარია, კონკურენციას უწევდა იმ აბიტურიენტებს, რომელთაც ამ გზას არ მიმართეს. სხვათა შორის, აქ უკანასკნელნი მეტ სტილისტურ-გრამატიკულ შეცდომებს უშვებდნენ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საგამოცდო ცენტრის მიერ შემოთავაზებული გამართული და დახვეწილი წინადადებებით კი არ „მანიპულირებდნენ“, არამედ თავად ქმნიდნენ თემას. ასე რომ, ამ დავალების ამოღებით გაცილებით უფრო ზუსტი იქნება ზღვარი „თემის მკეთებელსა“ და „თემის შემოქმედს“ შორის.*

*ზედაპირულად რომ შევხედოთ, თითქოს თხზულების წერა „გართულდა“, მაგრამ დავფიქრდეთ – ვისთვის და რა გვინდა აბიტურიენტისაგან? რას ნიშნავს ქართულის, ამ მენტალური ღირებულების საგნის, ცოდნა? ახალგაზრდა უნდა იყოს მატარებელი იმ კულტურული ღირებულებებისა, რომლებიც არსებითია კაცობრიობისთვის და არსებითია მისი ქვეყნისთვის. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა იცნობდეს ამ ღირებულებათა მატარებელ საკუთარ კულტურას (მწერლობას), შეეძლოს იფიქროს, წეროს, იმსჯელოს ამაზე (ახალს არაფერს ვამბობ, ეს ეროვნულ სასწავლო გეგმაში დეტალურადაა ჩამოყალიბებული).*

*თხზულების გასწორების სქემა 30-ქულიანი გახდა (ნაცვლად 25-ქულიანისა) და ეს ძალიან კარგია. დავიწყოთ იმით, რომ რაც უფრო მრავალკომპონენტიანი და მრავალქულიანია შეფასება, მით უფრო ზუსტი და ადეკვატურია ის. გულახდილად რომ ვთქვა, წლების განმავლობაში, საგამოცდო ნაწერების სწორებისას, მქონდა შეგრძნება, რომ შეფასება მაინც საშუალო დონის აბიტურიენტზე იყო ორიენტირებული. გამორჩეულ, ღრმად მოაზროვნე ახალგაზრდებს არ ჰქონდათ საშუალება, სრულად გამოევლინათ შესაძლებლობები, უპირატესობა, დამოუკიდებელი აზროვნება, ტექსტის ლიტერატურულ-ესთეტიკური აღქმის უნარი. აქედან გამომდინარე, რაც უფრო დიფერენცირებული იქნება შეფასება, მით უფრო განირჩევა ერთმანეთისგან საუკეთესო, კარგი, საშუალო და დაბალი დონის ნამუშევრები.*

*ახლა კი, უფრო კონკრეტულად. მთავარი ცვლილება, რომელიც შეფასების სქემაშია შეტანილი, საანალიზო ტექსტის ადეკვატურ გააზრებას ეხება. ამ მხრივ იმდენად მრავალ არასასიამოვნო სიურპრიზს გვთავაზობდა გამოცდა, რომ აუცილებლობამ მოიტანა ამ პარამეტრის უფრო დიფერენცირებულად წარმოდგენა. მაგალითად, წლევანდელ გამოცდაზე წარმოდგენილი იყო ფრაგმენტი ჯემალ ქარჩხაძის ნაწარმოებიდან, რომელიც იმპერატორ ნერონის, ამ ყოვლად ოდიოზური ფიგურის, უკანასკნელ ღამეს შეეხებოდა. აბიტურიენტთა ნამუშევრებში ლამის იდეალიზებული იყო ეს პერსონაჟი. ახალგაზრდათა ერთმა ნაწილმა ტექსტი ზუსტად ვერ აღიქვა, არ გაუწია ანგარიში ტექსტში წარმოდგენილ ნერონს და ეს შეშინებული კაცი ჩაგრულ, დევნილ, წამებულ, ბრბოსგან გათელილ, ტრაგიკულ ფიგურად აღიქვა. ასეთ აღქმას ხელი შეუწყო ლიტერატურის სწავლებისას მიღებულმა ერთგვარმა „შტამპმა“ – ბრბო უპირისპირდება ინდივიდს, პროგრესულად მოაზროვნეს. ერთი სიტყვით, ყოველივე ამის მიზეზი ლიტერატურული ტექსტის აღქმის უნარის არქონა ან ნაკლებობაა და, ბუნებრივია, შეფასების ამ პარამეტრის უფრო დეტალიზებით უკეთეს შედეგს მივიღებთ. გააზრების ადეკვატურობასთან დაკავშირებით ერთი რამ მინდა დავამატო: საქმეში ჩახედული ადამიანის თამამი ფანტაზიაც ვერ წარმოისახავს ისეთ მოულოდნელ „პარალელებს“, რომლებსაც ვაწყდებით ხოლმე გასწორებისას. საქმე ისაა, რომ არსებობდა ე.წ. მეხუთე პარამეტრი, რომელიც აბიტურიენტის დამოუკიდებელ აზროვნებასა და წიგნიერებას აფასებს. ჩემ მიერ ზემოთ დამოწმებულ დავალებაში კი იმპერატორი ნერონი ვისთან არ იყო დაკავშირებული და გაიგივებული – ალუდა ქეთელაურთან, ჯოყოლასთან, მარიტასთან, აღაზასთან, ბარათაშვილის „მერანთან“, თვით აბო თბილელთანაც კი. სწორედ ამ რეალობამ გამოიწვია, ალბათ, ის, რომ აბიტურიენტს, ასეთი არაბუნებრივი თუ არაადეკვატური პარალელებისათვის, დააკლდება ქულები არა მარტო წიგნიერებასა და დამოუკიდებელ აზროვნებაში, არამედ ადეკვატურ გააზრებაში. ზუსტი და ეფექტური პარალელებისათვის კი, ბუნებრივია, ქულები დაემატება.*

*ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის ქულებია, რომლებიც ტესტის შეფასების კრიტერიუმებს დაემატა პარამეტრში, რომელიც მხატვრულ ანალიზს ეხება. ეს ორქულიანი კრიტერიუმი სწორედაც რომ „ვერ ახერხებდა“ საუკეთესო, კარგი და საშუალო დონის ნაწერების დიფერენცირებას და აი რატომ. აბიტურიენტთა ნამუშევრებში ჩამოთვლილი იყო განსახილველ ტექსტში გამოყენებული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ეპითეტი, შედარება, გაპიროვნება და ა.შ.), რომელთაც ეძლეოდა ქულა ან ქულები. გასწორების ახალ სქემაში კი ხაზგასმითაა მითითებული, რომ აბიტურიენტმა უნდა შეაფასოს და განსაზღვროს ის სტილური თავისებურებები, რომლებიც მწერალს (ან მოყვანილ ეპიზოდს) ინდივიდუალურ სახეს ანიჭებს. ამავდროულად, უნდა განსაზღვროს რა ფუნქციას ასრულებს ტროპის ესა თუ ის სახეობა გმირის ხასიათის ან სიტუაციის უფრო მკვეთრად წარმოსაჩენად.*

*ამ კონკრეტული ცვლილების მიხედვით, ტესტი ორიენტირებულია უფრო აბიტურიენტის ანალიზის უნარზე, ლიტერატურული მასალის დამოუკიდებელ, ადეკვატურ გააზრებაზე და არა მექანიკურ ცოდნაზე ან გონებაში ზეპირად ჩანერგილ „შპარგალკაზე“. საბოლოო ჯამში, ტესტის შესრულებაცა და შეფასებაც გაცილებით უფრო გაიოლებულია. აბიტურიენტებს არ უხდებათ დროის დახარჯვა ე.წ. „თანდართულ“ კითხვებზე, მეტი საშუალება ეძლევათ, თავადვე გაიაზრონ ლიტერატურული ტექსტი.*

*რაც შეეხება ქართული ლიტერატურის საგამოცდო ტესტს: როგორც გასწორების შემოთავაზებული მოდელიდან ვხედავთ, ამოღებულია მესამე დავალება, ლიტერატურული ესე. გულწრფელად რომ ვთქვა, მე, როგორც ფილოლოგს, გული მწყდება ამ სამუშაოს ამოღებაზე, რადგან ძალიან შემოქმედებითი, ორიგინალური და მაღალი დონის თემები წამიკითხავს. საერთოდაც, როგორც პრაქტიკოსი მასწავლებელი, სიამოვნებით ვმუშაობდი ამ სეგმენტზე. მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ აბიტურიენტთა ნაწილისთვის რთულად დასაძლევი იყო ეს სამუშაო. ხანდახან უჭირდათ დავალების პირობის აღქმა. მახსოვს, ორი წლის წინ, ილიას ცნობილ სიტყვებზე: „დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესასა...“ აბიტურიენტებს უნდა შეერჩიათ ერთი ან რამდენიმე ნაწარმოები ამ აზრის დასადასტურებლად და უნდა მოეხერხებინათ მათ მიერვე შერჩეული ტექსტის მხატვრული ანალიზი. ნაშრომების ერთ ნაწილში სურათი უცნაური იყო – იაკობ ხუცესიდან დაწყებული რომანტიკოსებისა და თანამედროვე ლიტერატურის ჩათვლით, ყველაფერი მოჰყავდათ არგუმენტად. და რაც მთავარია, სულ სხვა ნაწარმოების მხატვრულ ანალიზს გვთავაზობდნენ, ანუ იმ ნაწარმოებისას, რომლის ზეპირი „შპარგალკაც“ ჰქონდათ გამზადებული. ამდენად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ 2019 წლის ტესტი გაცილებით იოლი, მოქნილი და, შეფასების თვალსაზრისით, ზუსტია.“*

მესტიის მუნიციპალიტეტის, ფარის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **ეკატერინე წულუკიძე** მიიჩნევს, რომ ცვლილება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს აბიტურიენტთა უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების შესაძლებლობას, მაგრამ, მისი აზრით, ერთიანი ეროვნული გამოცდების მოთხოვნა, გარკვეულწილად, შეუსაბამოა სასკოლო სახელმძღვანელოებსა და პროგრამასთან, სკოლაში სათანადო დრო არ ეთმობა გრამატიკის სწავლებას, აკადემიური წერის საფუძვლები კი საერთოდ არ ისწავლება. შესაბამისად, აბიტურიენტები სკოლის ბაზაზე ვერ იღებენ იმ ცოდნას, რაც ეროვნულ გამოცდებზე მათი მაღალი შეფასების გარანტი იქნება.

*„15-ქულიანი ტესტი აბიტურიენტებისათვის იყო შესაძლებლობა, მოეპოვებინათ მეტი ქულა, ასევე მოცემული კითხვები მათთვის იყო საორიენტაციო, რაც უადვილებდათ ტექსტის გაგება-გაანალიზებას და შემდგომ წერითი დავალების შესრულებას.*

*მასწავლებლისთვის, სწავლების მიმართულებით, არსებითად არაფერი შეცვლილა, უბრალოდ, გაძლიერებულად უნდა ასწავლოს არგუმენტირებული და ანალიტიკური ესეს წერა და მეტად დატვირთოს საპროგრამო მასალა გრამატიკული ნაწილით, თუმცა ეს ერთგვარად რთული საკითხია, რადგან მე-12 კლასის პროგრამა ისედაც ძალიან გადატვირთულია,“* – ამბობს ეკატერინე წულუკიძე და, ამ ეტაპზე, ცვლილებას ნაჩქარევს უწოდებს: *„ნაჩქარევია, რადგან მსგავს სიახლეებს თან უნდა ახლდეს სასკოლო პროგრამის ადაპტირება ერთიანი ეროვნული გამოცდების მოთხოვნებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში, კიდევ უფრო გაძლიერდება რეპეტიტორთა ინსტიტუტი*

## ერთიანი ეროვნული გამოცდები 2019 — ცვლილებები

და სკოლის როლი მინიმუმადე იქნება დაყვანილი. მე-12 კლასის პროგრამა იმგვარად უნდა იყოს შედგენილი, რომ საშუალებას იძლეოდეს აბიტურიენტმა ცოდნა მართლწერის საკითხებსა და აკადემიურ წერაში გაიღრმავოს."

რაც შეეხება უცხო ენებში განხორციელებულ ცვლილებებს, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის უცხო ენების ჯგუფის ხელმძღვანელი **რუსუდან ტყემალაძე** ამბობს, რომ ამას ცვლილებასაც ვერ დაარქმევს, რადგან საგამოცდო ტესტიდან, უბრალოდ, ამოღებულია გრამატიკული სახის ერთი დავალება, დანარჩენი ყველაფერი უცვლელია – სირთულე, დავალებების ტიპები, სიდიდეები. „ვიტყოდი, რომ ტესტის შემოკლება უფროა, ვიდრე ცვლილება." ქალბატონი რუსუდანი ყურადღებას ამახვილებს მოლოდინებზე, რომელიც ცვლილების შედეგად აქვს: „სტატისტიკური ანალიზის შედეგად ვხედავთ, რომ აბიტურიენტები ხანდახან ძალიან კარგად წერენ გრამატიკის სავარჯიშოს (სწორედ ეს სავარჯიშო ამოვიღეთ), მაგრამ ამ ცოდნას ვერ იყენებენ წერის შემთხვევაში, რაც მნიშვნელოვანია. გვინდოდა, აბიტურიენტებისა და მასწავლებლების ყურადღება უფრო მეტად გადაგვეტანა ცოდნის პრაქტიკულ სიტუაციაში გამოყენებაზე წერით დავალებებში. სხვაგვარად ცოდნას, დღევანდელ სამყაროში, მით უფრო უცხო ენის შემთხვევაში, მართლა არ აქვს აზრი, თუ იმაზე არ არის ორიენტირებული, რომ ადამიანმა ცოდნა პრაქტიკული დანიშნულებისთვის გამოიყენოს (მაგალითად, წერილის, თემის დაწერისას), რადგან ეს არის მთავარი უნარი.

კიდევ ერთი მიზეზი, რამაც არჩევითპასუხიანი დავალების ტესტიდან ამოღება განაპირობა, ისიც არის, რომ ზუსტად იმავე სახის დავალებებია ე.წ. კატის გამოცდაზე – მრავალჯერადი არჩევანი გრამატიკის ცოდნის შესამოწმებლად. თუ გვინდა, რომ ეროვნული გამოცდები განსხვავებული იყოს (და ის ნამდვილად უნდა იყოს განსხვავებული) სკოლის დამამთავრებელი გამოცდებისგან, ცვლილება გარდაუვალია. კატის გამოცდა ნამდვილად ასრულებს იმ ფუნქციას, რომ მოსწავლემ სკოლაში მიღებული ცოდნა დაადასტუროს, საუნივერსიტეტო გამოცდა კი უფრო ამბიციურია და უნდა შეამოწმოს, რამდენად აქვს უნარი ადამიანს უნივერსიტეტში ისწავლოს, უმაღლესი სასწავლებლის მოთხოვნები დააკმაყოფილოს, გააკეთოს პრეზენტაციები უცხო ენაზე, იმეტყველოს, წეროს. ეს მით უმეტეს მნიშვნელოვანია, როცა ყოველწლიურად ფართოვდება გაცვლითი პროგრამები უმაღლესებს შორის, უცხოელი სტუდენტები ჩამოდიან ჩვენთან სასწავლებლად და ქართველი სტუდენტები მიდიან უცხოეთში. ჩვენი ძირითადი მიზანიც სწორედ ამაზე ყურადღების გამახვილებაა. ძვირფასო აბიტურიენტებო, ძვირფასო მასწავლებლებო, გთხოვთ, უფრო მეტი ყურადღება მიაქციოთ ისეთი სახის დავალებებს, რომლებიც ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას გულისხმობს."

მისი აზრით, არც მომზადების თვალსაზრისით შეიცვლება რამე, მეტიც, ამბობს, რომ ძალიან უკვირს, როცა ინგლისურის მასწავლებლები ფეისბუქზე წერენ – „ე.ი. გრამატიკა არ უნდა ვასწავლოთ?" – ამ კითხვის ავტორებს კიდევ ერთხელ ახსენებს, რომ: „გრამატიკა ენის ხერხემალია ყველა ენაში და თუ ადამიანმა გრამატიკა არ იცის, ვერც წაიკითხავს, ვერც მოისმენს, ვერც იმეტყველებს და ვერც დაწერს. აქედან გამომდინარე, როგორ შეიძლება გრამატიკის იგნორირება, პირიქით, ძველებურად ძალიან კარგად უნდა ასწავლონ და მეტიც, კიდევ უფრო კარგად. ამავე დროს, მასწავლებლებმა და აბიტურიენტებმა მეტად მიაქციონ ყურადღება იმას, რომ ნასწავლის გამოყენება შეძლონ წერითი დავალების შესრულებისას."

მისი მთავარი მოლოდინი კი, არჩევითპასუხიანი დავალებების შესრულებისას, შემთხვევით სწორი პასუხის შემოხაზვის დიდი ალბათობის თავიდან არიდებას უკავშირდება: „25-პროცენტიანი ალბათობაა იმისა, რომ ოთხი არჩევითი პასუხიდან, სულ რომ არაფერი ვიცოდე, ერთ-ერთს მოვარტყა. ამ ცვლილებით კი თავიდან ვიშორებთ სწორედ ამ შემთხვევითობას, სამაგიეროდ აბიტურიენტს მეტ შესაძლებლობას ვაძლევთ, ცოდნა ორ წერით დავალებაში გამოავლინოს. მაქსიმალური ქულა 80-მდე ჩამოვიდა და, შესაბამისად, საგამოცდო დროც 10 წუთით შემცირდა. ვფიქრობთ, ეს დრო საკმარისი იქნება იმისთვის, რომ აბიტურიენტებმა კარგად გაართვან თავი საგამოცდო დავალებებს." – ამბობს რუსუდან ტყემალაძე.

ცვლილებას მართებულად მიიჩნევენ ჩვენ მიერ გამოკითხული ინგლისური ენის პედაგოგებიც და მთავარ სიკეთედ სწორი პასუხების შემთხვევით შემოხაზვის თავიდან აცილებას ასახელებენ. ამბობენ, რომ ამით გრამატიკის სწავლება კი არ სუსტდება, პირიქით, ძლიერდება კიდეც, რადგან ესეში აბიტურიენტი, გრამატიკის ცოდნის გარეშე, მაღალ ქულას ვერ მიიღებს.

**ნინო ალანია**, ბათუმის №2 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მენტორი მასწავლებელი: „თანამედროვე მიდგომებით უცხო ენის სწავლება გამიზნულია საკომუნიკაციო ენის შესწავლაზე და ცალსახად გრამატიკული სავარჯიშოების შესრულება სულაც არ ნიშნავს, რომ მოსწავლეს შეუძლია თვითონ შეადგინოს წინადადება, ამისთვის ტესტს აქვს ესეს ნაწილი, სადაც მოსწავლემ სწორედ მისი წერის დროს უნდა გამოიყენოს გრამატიკული ნორმების ცოდნა.

ჩემი პრაქტიკის განმავლობაში, ხშირად მინახავს, რომ ბევრს შეეძლო გრამატიკული სავარჯიშოების შესრულება, მაგრამ ეს არ ნიშნავდა ენის ცოდნას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, ტესტურ დავალებებში ცვლილება არ ნიშნავს იმას, რომ მასწავლებლებმა გრამატიკის სწავლებას ნაკლები დრო დაუთმონ. ეროვნული გამოცდების გარდა, ბარდება საატესტატო გამოცდები, რომელიც ზუსტად ასეთ სპეციფიკურ ცოდნას მოითხოვს. ასე რომ, შესაბამისად, მათ ამ ცოდნის გამოყენება მაინც მოუწევთ. რაც მთავარია, ეს ცოდნა დაეხმარებათ, უფრო მრავალფეროვანი გახადონ ესეს დაწერა.

ვფიქრობ, ეს ცვლილება უფრო ადრეც უნდა განხორციელებულიყო, რადგან ტესტი მთლიანად საერთაშორისო სტანდარტებს იზიარებს (იქნება ეს კემბრიჯის გამოცდები თუ ტოიფელის), ამიტომ არჩევითპასუხიანი დავალების ამოღება აუცილებელიც კი იყო. ყველა დანარჩენი დავალება ტესტში მიმართულია უნარების შემოწმებაზე და არა ფაქტობრივი ინფორმაციის ცოდნაზე, ანუ მოსწავლეებმა უნდა გამოავლინონ ენის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობა. ერთადერთი, რასაც ეროვნული გამოცდების ტესტით ვერ ვამოწმებთ, ეს საუბრის ნაწილია. ამის მიზეზი, ალბათ ის არის, რომ ტექნიკურადაა უფრო რთული შესასრულებელი. სხვა მხრივ, ტესტი სამივე უნარზეა გათვლილი და, რასაკვირველია, ეს ძალიან კარგია.

რაც შეეხება სწავლების ტექნიკას, ჩემი აზრით, არაფერი შეიცვლება. უბრალოდ, ამ ცვლილებამ უფრო პრაქტიკული გახადა მოსწავლეების ცოდნა, მეტი ყურადღება მიექცევა პრაქტიკულ მხარეს – საკომუნიკაციო მიდგომებს. საკომუნიკაციო მიდგომა კი გულისხმობს, მოსწავლემ ისე იცოდეს გრამატიკული დროები, რომ წერისას შეძლოს გააზრებულად გამოყენება და არა მინიშნებებით მიხვედრა, ტესტში ეს „დრო" ჩაწეროს თუ ის „დრო". ამიტომ, ვფიქრობ, აბიტურიენტებს, რეალურად, საქმე არ გაურთულდათ, მაგრამ არც გაუმარტივდათ."

**მანანა კაპეტივაძე**, ბაღდათის №1 საჯარო სკოლის ინგლისურის მასწავლებელი, 2018 წლის „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს" მფლობელი: „ძალიან კარგია, უცხო ენის ტესტიდან რომ ამოიღეს გრამატიკული სავარჯიშო, რადგან არჩევითპასუხიანი დავალება ისეთმა მოსწავლემაც შეიძლება სწორად შემოხაზოს, რომელმაც არ იცის სწორი პასუხი – უბრალოდ გაუმართლოს. არჩევითპასუხიანი დავალებით ცოდნა დიდად არც მოწმდებოდა, უბრალოდ, აბიტურიენტებს ქულები ემატებოდათ. ესეს წერის დროს კი გაცილებით უკეთ შეიძლება მათი ცოდნა შეფასდეს. რაც შეეხება იმას, გაურთულდა თუ არა აბიტურიენტს/მოსწავლეს მომზადების პროცესი, გეტყვით, რომ კი არ გაურთულდათ, არამედ მათი მომზადება ახლა უფრო პრაქტიკული გზით წარიმართება. ვიცი, რომ მასწავლებლები გრამატიკაში ამზადებდნენ აბიტურიენტებს, მაგრამ მათ ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება უჭირდათ. არადა, პრაქტიკაში გამოყენება გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ამა თუ იმ გრამატიკული წესის ზეპირად ცოდნა. განხორციელებული ცვლილებით სწორედ ამაზე კეთდება აქცენტი. თუმცა, აქვე გეტყვით, რომ გრამატიკის სწავლება ამით არ სუსტდება, ჩემი აზრით, პირიქით, ძლიერდება. ამიტომაც ვარ მომხრე ცვლილების და ძალიან მიხარია, რომ ეს გაკეთდა – ახლა საგამოცდო ტესტი მეტად იქნება ორიენტირებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაზე და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, თავიდან ავირიდებთ შემთხვევით სწორ პასუხებს – როგორც თავად ამბობენ ხოლმე ბავშვები: „აუ, გავარტყი სწორი პასუხი" – ეს აღარ იქნება და არაფრის მომცემი არჩევითი პასუხების შემოხაზვა წარსულს ჩაბარდება."

## ხარისხის განვითარების ცენტრი

# სტრატეგიული გეგმის განხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, ცენტრის სტრატეგიული გეგმის განხილვისა და გუნდურობის გასაძლიერებლად, გასვლითი ღონისძიება მოეწყო.

გუნდურობის გასაძლიერებელი ღონისძიებების მიზანია, მიეცეთ თანამშრომლებს მუშაობის საშუალება ახალ პირობებსა და უცხო გარემოში. ეს არის თანამშრომელთა შორის კომუნიკაციის გაძლიერების, ნდობის დამყარებისა და ძლიერი გუნდის შექმნის საუკეთესო ინსტრუმენტი.

ცენტრის დირექტორმა, **გიორგი ვაშაკიძემ** თანამშრომლებს გააცნო ცენტრის 2019 წლის სტრატეგიული გეგმა და ის მნიშვნელოვანი რეფორმები, რომლის განხორციელებაც მომავალი წლის განმავლობაშია დაგეგმილი. ასევე იმსჯელეს ცენტრის ორგანიზაციული მართვის სისტემებისა და რესურსების განვითარებაზე, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ქსელში (ENQA) ცენტრის გაწევრიანების მნიშვნელობასა და ბოლონიის პროცესის განხორციელების ხელშეწყობის შესახებ.

ღონისძიების ბოლოს, ცენტრის თანამშრომლები ჩაერთნენ აქტივობებში, რომლებიც გუნდურ მუშაობას მოითხოვდა.

# სერტიფიკატები გადაეცათ

14 ნოემბერს საქართველოს კარიტასმა საექთნო განათლების მიმართულების პროფესიულ სტუდენტებს, ვინც შინმოვლის სასწავლო კურსი წარმატებით დაასრულა, საზეიმო ვითარებაში, სერტიფიკატები გადასცა.

მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში, 400-ზე მეტმა სტუდენტმა, თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, საქართველოს კარიტასის ჯანდაცვის პროგრამის სასწავლო ცენტრის შინმოვლის სასწავლო კურსი გაიარა. ცენტრში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ხელს უწყობს პაციენტებისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებას, საექთნო საქმის განვითარებას, სამედიცინო სასწავლებლების სტუდენტებისა და სამედიცინო დაწესებულებების პერსონალის პროფესიულ განვითარებას.

საექთნო განათლების მიმართულებით 7 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს კარიტასთან. გარდა იმისა, რომ კურსის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები პროფესიული პროგრამის ნაწილია, 200-მდე სტუდენტს, ამ კურსის გავლისათვის, დამატებით გადაეცა სერტიფიკატი, რაც მათ წარმატებულ დასაქმებას შეუწყობს ხელს.

„გაგიმართლათ, რადგანაც ამ სფეროში ყველაზე კვალიფიციური ორგანიზაციის სერტიფიკატები გადმოგეცათ," – აღნიშნა ხარისხის განვითარების ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, **კახაბერ ერაძემ.** მან ხაზი გაუსვა მსგავსი თანამშრომლობის მნიშვნელობას და განსაკუთრებით აღნიშნა საქართველოს კარიტასის აქტიურობა საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავების და პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადების პროცესში.

სასწავლო კურსს ახორციელებს საქართველოს კარიტასის ჯანდაცვის პროგრამის სამედიცინო გუნდი, შინმოვლის პროექტის ფარგლებში, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროსა და გერმანიის კარიტასის ფინანსური მხარდაჭერით. გეგმაშია, პედაგოგების მასშტაბური გადამზადებაც, რათა პროგრამამ რეგიონებიც მოიცვას.

დამსწრე სტუმრებმა და ტრენერებმა სტუდენტებს მიულოცეს სასწავლო კურსის დასრულება და კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვეს საექთნო განათლების განვითარების მნიშვნელობას საქართველოში.

საქართველოს კარიტასის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის მენეჯერის, **გაიოზ ყუბანეიშვილის** თქმით, სტუდენტების დაინტერესება წლიდან წლამდე მზარდია და დასაქმების მაჩვენებელიც საკმაოდ მაღალი, რადგანაც მაღალკვალიფიციურ პერსონალზე მოთხოვნაც მაღალია.

საქართველოს კარიტასის დირექტორმა, **ანაჰით მხოიანმა** კურსდამთავრებულებს წარმატებები უსურვა და საექთნო საქმისადმი მამაკაცების მეტად დაინტერესების სურვილი გამოთქვა.

# პროფესიული განათლების კვირეული

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" ორგანიზებით ჩატარებული პროფესიული განათლების კვირეული საერთაშორისო კონფერენციით „ინვესტირება ადამიანურ კაპიტალში" გაიხსნა. ღონისძიებას დაესწრნენ: ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტი **ლონა სთოლი**, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი **მიხეილ ბატიაშვილი**, აშშ-ს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი **ელიზაბედ რუდი** და საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე **მარიამ ჯაში**, ასევე, განათლების სფეროსა და კერძო სექტორის წარმომადგენლები.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს აღმასრულებელი დირექტორის, **მაგდა მაღრაძის** თქმით, კვირეულის მიზანი იყო 51 ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საზოგადოებისათვის გაცნობა, რაც საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ღია კარის დღეების ჩატარებით მოხერხდა.

კონფერენციის მომხსენებლები იყვნენ ბრიტანეთის ავიახაზების (British Airways) განათლების მიმართულებით აღმასრულებელი დირექტორი **ნაიჯელ ჯერემი** და აშშ-დან კორპორაცია „ინტელის" (Intel) გლობალური განათლების სექტორის გენერალური დირექტორი **ბრაიან გონსალესი**. გამომსვლელებმა თავიანთი კომპანიების გამოცდილება განიხილეს ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების, ახალი კადრების მომზადებისა და განვითარების და საგანმანათლებლო სექტორთან თანამშრომლობის შესახებ.

კვირის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში დაფინანსებულმა ათმა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებამ „ღია კარის" დღეებს უმასპინძლა, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო გასცნობოდა კოლეჯების ახალ პროგრამებსა და განახლებულ ინფრასტრუქტურას. კვირეული „პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო 2018" გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონიალით დასრულდა.

დასკვნით ღონისძიებაზე, პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო 2018 გამარჯვებულები ოთხ კატეგორიაში გამოვლინდნენ – საუკეთესო სტუდენტად **თამარ გოგრიჭიანი** დასახელდა; წლის პროფესიული განათლების მასწავლებლის სტატუსი **ია მოსაშვილმა** მოიპოვა; რაც შეეხება 2018 წლის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, ამ ნომინაციაში საზოგადოებრივმა კოლეჯმა **„მერმისმა"** გაიმარჯვა; წლის საუკეთესო ბიზნესპარტნიორად **საქართველოს რკინიგზა** დასახელდა.

ეროვნული კონკურსის გამარჯვებულები გერმანიაში გაემგზავრებიან და მონაწილეობას მიიღებენ სასწავლო პროგრამაში. ისინი ასევე დაესწრებიან ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგანმანათლებლო გამოფენას. მსგავსი პროექტები უფრო მეტად შეუწყობს ხელს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას საქართველოში.

„პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდო" წელს მეორედ ჩატარდა ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ინიციატივით, რომელიც ხორციელდება პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" ფარგლებში და დაფინანსებულია აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ.

**მოამზადა ანა ფირცხალაიშვილმა**

მულტილინგვური განათლება

# შევიმეცნოთ სამყარო ქართულ ენაზე



***2-5 და 9-11 ნოემბერს, ბაკურიანში, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის (CCIIR) პროექტის „საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით" ფარგლებში, პროექტში ჩართული არაქართულენოვანი სკოლების მონაწილეობით, გაიმართა ტრენინგების ციკლი, რომელიც მოწვეულმა ტრენერებმა – თამარ ჯაყელმა, დესპინე ქოიავამ (განათლების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების სამმართველო) და განათლების ექსპერტმა, ანნა გოლუბევამ ჩაატარეს. ძირითადი თემატიკა კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე დაფუძნებული პედაგოგიკის საფუძვლების გააზრება, ენისა და საგნის ინტეგრირებულად და ეფექტიანად სწავლება იყო, საგანმანათლებლო რესურსის „შევიმეცნოთ სამყარო ქართულ ენაზე" გამოყენებით, ასევე, რესურსის სტრუქტურის გააზრება. დაწყებითი კლასების მასწავლებლებს გააცნეს CLIL-ის (ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლება) მეთოდი და გაუზიარეს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნა, ამ მეთოდის ყოველდღიურ სასწავლო პროცესში დანერგვისთვის.***

***რა ვითარებაა არაქართულენოვან სკოლებში და ზოგადად ამ რეგიონებში, სახელმწიფო ენის ცოდნის თვალსაზრისით, რა გაკეთდა წლების განმავლობაში ვითარების გამოსასწორებლად, იყო თუ არა ქმედითი ის ბილინგვური პროგრამები, რომლებიც არაქართულენოვან სკოლებში გამოიცადა – გვესაუბრება სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის დირექტორი შალვა ტაბატაძე.***

## პროექტის ირგვლივ

ჩვენი პროექტის მიზანია არაქართულენოვანი სკოლების მეტნაკლებად რეფორმირება და სწავლების ხარისხის ზრდა, მთავარი იდეა კი – მულტილინგვური განათლების ერთი კონკრეტული მოდელის პილოტირება ამ სკოლებში. დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ვიმუშავეთ, რომ შეგვემუშავებინა III-IV კლასების მასალა ბუნებისმეტყველებაში, რომლითაც საპილოტე სკოლებში, საბუნებისმეტყველო საგნებში, მხოლოდ ქართულ ენაზე წარიმართებოდა სწავლება.

ამ სკოლებში, ზოგადად ამ თემებში, გარემო სრულიად არაქართულენოვანია. ერთადერთი ადგილი, სადაც ქართული ენის უნარები შეიძლება განვითარდეს, ეს არის სკოლა და სკოლაშიც ქართულის სწავლება მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენის გაკვეთილზე ხდება, იქაც გარკვეული პრობლემები არსებობს. ამ თვალსაზრისით, გვინდოდა გაგვეძლიერებინა სახელმწიფო ენის სწავლება, მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ჩვენი პროექტი მხოლოდ და მხოლოდ ქართული ენის სწავლებაზეა ორიენტირებული, იგულისხმება, რომ მშობლიური ენის გაძლიერებაზეც ვიზრუნებთ, რადგან კვალიფიკაციას იმაღლებენ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები და შეძენილი უნარ-ჩვევები, ბუნებრივია, მშობლიური ენისა და ბუნების სწავლებაზეც აისახება. პროგრამის იდეა შემდეგში მდგომარეობს – ვატარებთ საბაზისო კვლევას, რა მდგომარეობაში ვართ დღეს და სად შეიძლება მივიდეთ პროექტის ბოლოს. შეფასების კომპონენტები არა მხოლოდ ქართულში ამოწმებს რამდენად გაუმჯობესდება ან გაუარესდება შედეგები, არამედ მშობლიურ ენაშიც და ბუნებაშიც. თუ აღმოჩნდება, რომ ქართულში გაუმჯობესება „ბუნების" სწავლების ხარჯზე მოხდა, ეს ნიშნავს, რომ მოდელმა კარგად ვერ იმუშავა.

პროექტი დაფინანსებულია ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ, ესტონური მხარეც არის ჩართული, კონსულტირების თვალსაზრისით, რადგან ესტონეთს საკმაოდ პოზიტიური გამოცდილება აქვს ენის სწავლების გარკვეული მიმართულებებით.

საპილოტედ 20 სკოლა შევარჩიეთ. აღსანიშნავია, რომ პროექტის ცალკე კომპონენტია 7 საბავშვო ბაღი, ამავე რეგიონებიდან, სადაც ასევე ბილინგვური განათლების მოდელი ამუშავდება. ამ თვალსაზრისითაც, ესტონეთს სკოლამდელ განათლებაში ინვერსიის პროგრამის დანერგვის საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვს, შესაბამისად, მათი გამოცდილება, მასწავლებელთა განათლების თუ პროგრამის განხორციელების კუთხით, ძალიან გვეხმარება ჩვენი პროექტის განხორციელებაში.

## საპილოტე სკოლების განწყობა

აქ რამდენიმე ფაქტორს შეიძლება გაესვას ხაზი – ერთი მხრივ, რეფორმის განხორციელების სურვილი არსებობს, თუმცა გარკვეული წინააღმდეგობებია თვითონ სკოლებს შიგნით. პირველი და მნიშვნელოვანი – ბიუროკრატიული სისტემა იმდენად გამჯდარია, რომ ნებისმიერ ექსპერიმენტსა თუ საპილოტე პროგრამას სჭირდება მოქნილობა. ეს მოქნილობა ჩვენს სისტემას არ აქვს, არა მარტო არაქართულენოვან სკოლებში, ნებისმიერ სკოლაში. დირექტორი ფრთხილობს, რომელიმე მასწავლებელს დამატებითი საათები რომ მისცეს, როგორ მოახდინოს ამის კომპენსირება, ორი მასწავლებელი რომ შევიდეს კლასში, ეს ხომ არ დარღვევს რაიმე წესს... ეს ისეთი საკითხებია, რომლებსაც სკოლები თამამად უნდა წყვეტდნენ. სკოლა ცოცხალი ორგანიზმია, იქ მუდმივად უნდა ხდებოდეს სხვადასხვა ექსპერიმენტების, მექანიზმების, მეთოდების, თუნდაც ჯერ არ არსებული მიდგომების მოსინჯვა და დატესტვა, რაც რეალურად ჩვენს სკოლებში არ ხორციელდება. ბევრ პრობლემას ვაწყდებით იმიტომ, რომ დირექტორები საკითხს არ უყურებენ ისე, თუ რა შეცვალონ სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, არამედ ფიქრობენ, რა მოიმოქმედონ, რომ სამინისტროსთან არ ჰქონდეთ პრობლემები. სამწუხაროდ, სამინისტროსაც საკითხი ისე აქვს დაყენებული, რომ დირექტორები ანგარიშვალდებულები კი არ არიან, რამდენად ხარისხიან და ექსპერიმენტულ სწავლებას დანერგავენ, არამედ – რამდენად კარგად შეასრულებენ ბიუროკრატიულად სამინისტროს მითითებებს. ეს პრობლემა რეალურად არსებობს.

მეორე პრობლემა – მასწავლებლების დამოკიდებულება, არ ვგულისხმობ ჩვენს საპილოტე სკოლებს. ზოგადად, ხშირ შემთხვევაში, ისინი რეზისტენტულები არიან რაიმე ცვლილებისადმი და რაიმე ტიპის ცვლილებას აღიქვამენ, როგორც საფრთხეს მათი საქმიანობისთვის. იმავე არაქართულენოვან სკოლებში, როდესაც საუბარი იყო ბუნების ქართულად სწავლებაზე, ზოგიერთ შემთხვევაში, ამას აღიქვამდნენ, როგორც მათ წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯს – მათ არ შეუძლიათ ქართულად სწავლება, რაც იმას ნიშნავს, რომ, რადგან ბუნების სწავლება ქართულად წარიმართება, ისინი საათების, სამსახურის გარეშე შეიძლება დარჩნენ. „საათების ომი" და საათების დაკარგვის შიში თვალსაჩინოა როგორც ქართულენოვან სკოლებში, ასევე არაქართულენოვანში, რაც ასევე ხელს უშლის ნებისმიერი ექსპერიმენტის თუ განსხვავებული პროგრამის განხორციელებას. მასწავლებლები ამას არ უყურებენ, როგორც მოსწავლისთვის უკეთესი შედეგის მომტანს, არამედ უყურებენ საკუთარი პერსპექტივით – რაიმე საფრთხეს ხომ არ უქმნის მათ მომავალ პროფესიულ საქმიანობას. ეს რეალური პრობლემაა.

სამწუხაროდ, შერჩევის პროცესში და შემდგომაც, ასევე, გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს ურჩევნიათ სტატუს-კვო, თუნდაც ცუდი სიტუაცია, დაჭაობებული, დაბალი ხელფასებით და სტაგნაცია, ვიდრე პროგრესი, რეფორმა იმიტომ, რომ ამ პროცესში თავს ნაკლებად დაცულად გრძნობენ. ხშირ შემთხვევაში, ჩვენი სკოლის მასწავლებლებს ურჩევნიათ ატარონ გაკვეთილები ისე, როგორც ატარებდნენ ოცი-ოცდაათი წლის წინ, არაფერი შეცვალონ. გაცილებით მარტივია ამ კუთხით სვლა, ვიდრე ფეხი აუწყო თანამედროვე მოთხოვნებს და ორიენტირებული იყო ისე შეცვალო სასწავლო პრაქტიკა, რომ ეს მოსწავლეებზე აისახოს. ეს ტენდენციაა როგორც ქართულენოვან სკოლებში, ასევე არაქართულენოვანში, თუმცა არაქართულენოვანში მეტად იმ თვალსაზრისით, რომ არაქართულენოვან სკოლებში რეფორმა ფაქტობრივად არ გატარებულა.

## არაქართულენოვანი სკოლების პრობლემატიკა

დღესაც, არაქართულენოვან სკოლებში რომ შეხვალ, ტიპურ საბჭოთა სკოლაში შედიხარ, სადაც მოსწავლის თავისუფლება შეზღუდულია. არა მხოლოდ ენობრივი, არამედ მენტალურ-ღირებულებითი თვალსაზრისითაც ეს სკოლები, სამწუხაროდ, ისევ იქ არიან დარჩენილი იმიტომ, რომ სახელმწიფომ, ფაქტობრივად, ამ 27 წლის განმავლობაში, არაფერი გააკეთა მათი რეფორმირებისთვის, თუ არ ჩავთვლით გარკვეულ ფრაგმენტულ პროგრამებს, რომლებიც ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებას გულისხმობდა. თუმცა, რა თქმა უნდა, ამ პროგრამებს ეფექტი არ აქვს იმიტომ, რომ მისი ეფექტი დამოკიდებულია ზოგადად სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ამ სკოლებში. თუ იქ, ზოგადად, ხარისხი, მმართველობა, ღირებულებითი და გარემო პირობები არ შეიცვალა, ეს ფრაგმენტული პროგრამები იქნება ფუჭი და უშედეგო. შესაძლებელია, ენობრივი გაუმჯობესების თვალსაზრისით შედეგი ჰქონდეს, მაგრამ ეს იქნება მინიმალისტური შედეგი დანახარჯებთან შედარებით. ჩვენ რომ ვნახოთ, რა დანახარჯი გვაქვს ამ მიმართულებით გაწეული და რა რესურსია ჩადებული, აღმოჩნდება, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ.

ასე რომ, პრობლემები, რა თქმა უნდა არსებობს, გარკვეული წინააღმდეგობებიცაა, თუმცა, მთლიანობაში, იმ სკოლებში, რომლებშიც ვართ შესული, ცვლილებებისთვის მზაობა და განწყობა არსებობს.

## მსგავსი პროექტები

არაქართულენოვანი სკოლებისთვის ჩვენ მუდმივად გვაქვს მსგავსი პროექტები, თუმცა სხვადასხვა კომპონენტებით. იგივე ბილინგვური განათლების პროგრამები იყო საპილოტე რეჟიმში 2006-07 წლებში (შვეიცარიული ორგანიზაცია ახორციელებდა, ჩვენ პარტნიორი ორგანიზაცია ვიყავით). იმ პერიოდში შერჩეული იყო 12 სკოლა ქვემო ქართლიდან და სამცხე-ჯავახეთიდან, სადაც საპილოტე რეჟიმში განხორციელდა ეს პროექტები, რომლებიც საკმაოდ წარმატებული იყო როგორც ენობრივი კომპეტენციის განვითარების თვალსაზრისით, ასევე საგნობრივი კომპეტენციების განვითარების, რის საფუძველზეც სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, უფრო ინტენსიური და ფართო გაეხადა ბილინგვური განათლების რეფორმა. 2009-10 წლებში გარკვეული ნაბიჯებიც გადაიდგა რეგულაციების შექმნის თვალსაზრისით, რომ სკოლებს შეძლებოდათ ბილინგვური განათლების პროგრამების განხორციელება: კანონში აისახა მულტილინგვური განათლების პროგრამა, შეიქმნა ბილინგვური მასწავლებლის სტანდარტი და ბილინგვური პროგრამების დებულება. თუმცა, სამწუხაროდ, 2011 წლიდან, ყველაფერი ერთი ხელის მოსმით ჩამოიშალა, როდესაც გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ ბილინგვური განათლება სამინისტროსთვის გახდა მხოლოდ სახელმძღვანელოები, რაც გულისხმობდა ერთენოვანი სახელმძღვანელოების ორენოვნად გადაქცევას – 70% მშობლიურ ენაზე იყო, ხოლო 30% – ნათარგმნი. ეს იყო აღქმული, როგორც ბილინგვური განათლება და სამინისტროს აზრით, ის ყველა სკოლაში ახორციელებდა ბილინგვური განათლების პროგრამას. რეალურად, ეს სრული აბსურდი იყო, სახელმძღვანელოები სრულიად უვარგისი და გამოუსადეგარი გახდა, ფაქტობრივად, სკოლების დიდმა ნაწილმა გვერდზე გადადო და, უფრო მეტიც, ზოგიერთმა სხვა ქვეყნიდან მოწოდებული სახელმძღვანელოებით ჩაანაცვლა იმიტომ, რომ ამ სახელმძღვანელოების პრაქტიკაში გამოყენება შეუძლებელი იყო. ამან ძალიან ბევრი პრობლემა შექმნა, შესაბამისად, ბილინგვურ განათლებას, 2011 წლიდან, არანაირი გაგრძელება არ ჰქონია, ეს იდეაც კი საკმაოდ უარყოფით შედეგებთან იყო ასოცირებული სწორედ ამ არაეფექტური სახელმძღვანელოების გამო.

დიდი იმედი გვაქვს, რომ ახლა მიდგომები შეიცვლება და რეალური ბილინგვური განათლების პროგრამებთან გვექნება საქმე და რეალურად მოხდება იმ საწყისის, რომელიც 13-14 წლის წინ დავიწყეთ, რეალური განახლება-განვითარება, როცა შეიძლებოდა, დღეს სულ სხვა ეტაპზე ვყოფილიყავით. ამ თვალსაზრისით, სამწუხაროდ, ვართ ისევ იქ, სადაც 2005 წელს ვიყავით როგორც სკოლების მომზადების და დამოკიდებულებების, ასევე საკადრო რესურსის თვალსაზრისით. საკმაო დრო გვქონდა ამ რეფორმისთვის კადრების მოსამზადებლად – როგორც მოქმედი, ასევე მომავალი მასწავლებლების, მაგრამ, სამწუხაროდ, სწორი ხედვა და განხორციელების სურვილი ხშირ შემთხვევაში არ არის. ხშირად ერთი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან არის შიში მსგავსი ტიპის რეფორმების და ისევე, როგორც მასწავლებლებს, ხშირ შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიმღებებსაც ურჩევნიათ შეინარჩუნონ არსებული სტატუს-კვო, ვიდრე რეფორმები განახორციელონ, რადგან რეფორმებს თან ახლავს წარუმატებლობაც, ეს ბუნებრივი მოვლენაა, შეიძლება იყოს კომპონენტები, სადაც იქნება ჩავარდნა. შესაძლებელია წინააღმდეგობაც გარკვეული ჯგუფების მხრიდან და ესეც ნაწილია რეფორმების იმიტომ, რომ ჯგუფებს, რომლებსაც რეფორმების ქვეშ არ შეუძლიათ იყვნენ წარმატებულები, ამის წინააღმდეგ აქვთ რეზისტენტულობა. ბევრს საკუთარ თავის ტკივილს მომავალი თაობის თავის ტკივილი ურჩევნია, თუნდაც მომავალმა თაობამ ხარისხიანი განათლება ვერ მიიღოს. ეს, ხშირ შემთხვევაში, სკოლების, მასწავლებლების და, სამწუხაროდ, გადაწყვეტილების მიმღებთა პოზიციაა. მოსწავლეების ხარჯზე, ხშირად, უარს ამბობენ ხარისხზე, რეფორმებსა და ექსპერიმენტებზე. თუმცა, გავიმეორებ, ეს არ ეხება მხოლოდ არაქართულენოვან სკოლებს, ქართულენოვან სკოლებთან დაკავშირებითაც ანალოგიური ვითარება გვაქვს.

## არაქართულენოვანი მასწავლებელი

რა თქმა უნდა, არიან აქტიური და რეფორმებზე ორიენტირებული მასწავლებლები, თუმცა, მთლიანობაში მათი რაოდენობა მცირეა. ამას იმ პროცესმაც შეუწყო ხელი, რომ ფაქტობრივად ისინი მოწყვეტილი იყვნენ ყოველთვის მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემასაც და ნებისმიერ წინსვლასაც. სამწუხაროდ, პოლიტიკა ყოველთვის ასეთი იყო – რატომ უნდა უზრუნველვყოთ მათი პროფესიული განვითარება მათ მშობლიურ ენაზე, ეს გააქრობს მოტივაციას, შეისწავლონ სახელმწიფო ენა. ასეთი იყო ცალსახა პოზიცია 2007-08 წლებში და, მიუხედავად იმისა, რომ სერტიფიცირების დებულებაში ეწერა, რომ მათ მშობლიურ ენაზე შეეძლოთ საგნობრივი და პროფესიული უნარების გამოცდის ჩაბარება, პრაქტიკაში ეს არ განხორციელდა სწორედ ამ იდეით, რომ მოტივაცია აღარ ექნებოდათ სახელმწიფო ენის შესწავლის. თუმცა, პრაქტიკამ დაგვანახა, რომ 10 წელი გავიდა და ვერც პროფესიული უნარების განვითარება შევძელით მშობლიურ ენაზე და არც ქართულის შესწავლის მოტივაცია გაჩნდა, რომ ქართულის გზით მომხდარიყო პროფესიული განვითარება. მიდგომა, რომ ეს დაუკარგავდა ქართულის სწავლების მოტივაციას, რა თქმა უნდა, არ გამართლდა, შესაბამისად, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ამ თვალსაზრისით, დღესდღეობით, არაქართულენოვან სკოლებში უფრო მძიმე ვითარება გვაქვს, ვიდრე ქართულენოვანში. თუმცა, იქაც არიან მასწავლებლები, რომლებიც სხვაგვარად ფიქრობენ.

## პედაგოგთა პრობლემატიკა

კიდევ მრავალი სხვა ტიპის პრობლემაა, მაგალითად, თუ ქართულენოვან სკოლებში მასწავლებელთა დაბერების სერიოზული პრობლემა გვაქვს, უფრო მეტად სერიოზულად ეს არაქართულენოვან სკოლებშია; როდესაც ადამიანს, პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, არც სასკოლო დონეზე და არც ისე, არ ჰქონია კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა, ბუნებრივია, რომ მისი კვალიფიკაციაც შესაბამისია; ამას ემატება საბუნებისმეტყველო, მათემატიკის მასწავლებელთა დეფიციტიც. ასე რომ, პრობლემები სერიოზულია, ამასთანავე, არც ახალი კადრების შესვლის მექანიზმებია კარგად დამუშავებული იმიტომ, რომ არც გასვლის მექანიზმები არსებობს და არც მოზიდვის მექანიზმები გვაქვს ამუშავებული. ეს პრობლემა ყველგან დგას, მაგრამ უფრო მძაფრად არაქართულენოვან სკოლებთან მიმართებაშია.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სკოლებში გარკვეული ცვლილებების შემტანი სწორედ ის ქართული ენის მასწავლებლები აღმოჩნდნენ, რომლებიც წარგზავნილები არიან იქ. საკმა-

## მულტილინგვური განათლება

ოდ კვალიფიციურები, კარგად მომზადებულები გარკვეული ცვლილებების კატალიზატორები გახდნენ ადგილებზე, მათ შორის, პროფესიული განვითარების თუ სხვა სიახლეების შეტანის თვალსაზრისით. მათ გარკვეული პოზიტიური როლი ითამაშეს არა მარტო ენობრივად, ზოგადად სასკოლო კულტურის მეტნაკლებად შეცვლის თვალსაზრისითაც. თუმცა, შესაძლებელია უფრო მეტის მიღწევა, ამ მასწავლებლების გამოყენებით. მათ უამრავი ვალდებულება აქვთ აღებული და სწორედ ეს უამრავი ვალდებულება ქმნის პრობლემებს იმიტომ, რომ ხშირ შემთხვევაში მათი შესრულება არარეალისტური ხდება. სჯობს, უფრო რეალური და გრძელვადიანი კონკრეტული გეგმა დავუსახოთ.

ჩვენი პროექტი სწორედ ამაზეა ორიენტირებული, რომ ქართული ენის ამ მასწავლებლებს დაევალოთ ბუნების მასწავლებლებთან ერთად მუშაობა და იმ შემთხვევაში, თუ ბუნების მასწავლებელმა არ იცის ქართული, მასთან ერთად ჩაატარონ გაკვეთილები. მეორე მხრივ, ქართული ენის პედაგოგმა უნდა აიღოს ვალდებულება, რომ ორი წლის განმავლობაში, პროექტის მიმდინარეობისას, უზრუნველყოფს ამ კონკრეტული მასწავლებლის სწავლებას, რათა დაწყებითების მასწავლებელმა დამოუკიდებლად შეძლოს ქართულად სწავლება. ჩვენ არ მოვთხოვთ მათ, რომ მთელ სკოლას ან მთელ თემს ასწავლონ, რაც იმთავითვე არარეალისტურია, არამედ – კონკრეტულ ადამიანებს, რომლებიც შემდგომ გააგრძელებენ იმ საქმეს, რომელსაც ერთად დაიწყებენ. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, უფრო ეფექტურად შეიძლება ამ კადრების გამოყენება და სასკოლო დონეზე მეტი ცვლილებების განხორციელება არაქართულენოვან სკოლებში.

### პროგრამის მიმდინარეობა

ბაკურიანში გამართული ტრენინგებით პროგრამა მხოლოდ იწყება, შემდგომ იქნება არა მარტო ტრენინგები, არამედ მუდმივი კონსულტირება, ადგილებზე, გაკვეთილებზე დასწრება, შესაბამისი რეკომენდაციები. ამ ეტაპზე, ფაქტობრივად, ჩვენ განვახორციელებთ იმას, რასაც სასკოლო პროცესის ხელმძღვანელი უნდა აკეთებდეს სასკოლო დონეზე. შევეცდებით, ყოველდღიურად დავეხმაროთ მათ სასწავლო პროცესის განხორციელებისას.

ივარაუდება პროექტის გაგრძელება სხვადასხვა მიმართულებით. ახლა მომზადდა მასალა III-IV კლასებისთვის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, იგეგმება V-VI კლასებისთვისაც, რათა შემდგომ წლებში ჰქონდეთ შესაბამისი სასწავლო მასალა. ასევე, ვფიქრობთ, დავამატოთ სამოქალაქო განათლების კომპონენტი და მეხუთე კლასიდან „ჩვენი სამშობლოს“ ინტეგრირების პილოტირებაც მოვსინჯოთ. როგორც სასკოლო დონეზე შევუწყობთ ხელს პროექტში ჩართული საპილოტე სკოლების პედაგოგების პროფესიულ განათლებას, ასევე, ტრენინგების სახით, დამატებითი პროფესიული განვითარების შესაძლებლობასაც მივცემთ.

### ენისა და საგნის ინტეგრირება

ჩვენი პროექტი ერთგვარად მოწყვეტილი რომ არ ყოფილიყო განათლების სამინისტროს, გადავწყვიტეთ, პროცესში სამინისტროც ჩართულიყო, განსაკუთრებით, როცა იქ თამარ ჯაყელის მსგავსი სპეციალისტი გვყავს. ამიტომ ეს კომპონენტი – მასწავლებელთა გზამკვლევის შექმნა, იმ მასალებზე დაყრდნობით, რომლებიც ინტეგრირებას შეუწყობს ხელს, მას მივანდეთ. ჩვენი ორგანიზაცია ამუშავებდა საკითხავ ლიტერატურას, ხოლო ამაზე მორგებულ გზამკვლევს აკეთებდნენ სასწავლო გეგმების დეპარტამენტის თანამშრომლები. ამ ჯგუფს ქალბატონი თამარი ხელმძღვანელობდა და ტრენინგებიც შესაბამის კომპონენტში – ენისა და საგნის ინტეგრირება – ქალბატონმა თამარმა ჩაატარა. ტრენინგებზე მოწვეული გვყავდა, ასევე, ესტონელი ექსპერტი – ზოგადად მეთოდიკაში, ენისა და საგნის ინტეგრირებულ სწავლებაში. ასე რომ, სამინისტრო აქტიურად იყო ჩართული, რათა არ ყოფილიყო აღქმული, როგორც ცალკე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მომზადებული პროექტი, არამედ ინტეგრირებული ყოფილიყო იმ ხედვებთან, რაც სასწავლო გეგმების სამმართველოს აქვს სასწავლო პროცესის რეფორმირებასთან დაკავშირებით.

*რას წარმოადგენს საგანმანათლებლო რესურსი „შევიმეცნოთ სამყარო ქართულ ენაზე“, რა კომპონენტებისგან შედგება და რას სთავაზობს მასწავლებლებს – გვესაუბრება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და სასკოლო განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის ექსპერტი* ***თამარ ჯაყელი.***





საგანმანათლებლო რესურსების ნაკრები „შევიმეცნოთ სამყარო ქართულ ენაზე“ განკუთვნილია III-IV კლასების არაქართულენოვანი მოსწავლეებისათვის. რესურსი შედგება 10 სასწავლო თემისგან: ჩვენი სკოლის ეზო; ცხოველთა სამყარო, შეგრძნებები; თვისებები; ამინდი; ტყე; მექანიკური მუშაობა; მოძრაობა; სასიცოცხლო ციკლი; შავი ზღვის სანაპირო.

თითოეული სასწავლო თემა შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება:

- **დონეების მიხედვით დაყოფილი წიგნები** – ერთსა და იმავე თემატიკაზე აგებული წიგნები, რომლებიც ერთმანეთისგან სირთულის დონით განსხვავდება. თითოეულ წიგნში საფეხურებრივად რთულდება საგნობრივი და ენობრივი შინაარსი. შესაბამისად, ცალკეული დონის წიგნში მოცემული ინფორმაციის შესწავლა მოსწავლეს მოამზადებს მომდევნო დონის ასათვისებლად.
- **პოსტერები –** საგანმანათლებლო ფუნქციის მქონე თვალსაჩინოებები, რომლებიც გამოიყენება აქტივობების დროს.
- **მასწავლებლის გზამკვლევი** – ეს რესურსი მასწავლებელს სთავაზობს მრავალფეროვან თანმიმდევრულ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოსწავლეებს დაეხმარება წიგნებში წარმოდგენილი ცნებების, საკითხების გააზრებულად და აქტიურად შესწავლაში, სტანდარტით გათვალისწინებული უნარების დაუფლებაში. გზამკვლევში ერთმანეთს ენაცვლება ენობრივი და საგნობრივი ხასიათის აქტივობები. საგნობრივი აქტივობები ემსახურება სტანდარტით გათვალისწინებული დარგობრივი ცნებების გააზრებას, ხოლო ენობრივი აქტივობები – იმ ენობრივი მასალის გაგება-ათვისებას, რომელიც სჭირდება მოსწავლეს საგნობრივი აქტივობების შესასრულებლად. მაგალითად, მექანიკური მუშაობის გასაგებად მოსწავლეს სჭირდება ისეთი საკვანძო სიტყვების გაგება, როგორებიცაა „მუშაობა“, „გადაადგილება“. ამიტომ, მექანიკური მუშაობის, როგორც ცნების გააზრების ხელშემწყობი აქტივობების დაწყებამდე, გზამკვლევი მოსწავლეებს სთავაზობს ენობრივ სავარჯიშოებს, რომლებიც ამ სიტყვათა მნიშვნელობების გაგებასა და ათვისება-დამახსოვრებაში დაეხმარება.

**გთავაზობთ ამგვარ აქტივობათა ნიმუშებს:**

- *საკლასო ოთახში საგანთა გადაადგილების პრაქტიკული მაგალითების ჩვენება სიტყვა „გადაადგილების“ გასაგებად (მაგ., საშლელს აიღებთ და სხვაგან დადებთ, თან გაასიტყვებთ მოქმედებას: „საშლელი გადავაადგილე“);*
- *ბრძანებების შესრულება (მაგ., მაია, გადააადგილე რვეული; დათო, გადააადგილე ჩანთა და მისთ.);*
- *საკლასო ოთახში გადააადგილებთ რაც შეიძლება ბევრ დიდ და პატარა საგნებს (სკამს, მაგიდას, კალამს, რვეულს, წიგნს, ქოთანს და მისთ.) სხვადასხვა მოქმედების გამოყენებით. გაასიტყვებთ ცალკეულ მოქმედებებს (მივაწექი, ავწიე, დავდე, გავაღე და მისთ.), ყოველ ჯერზე იკითხავთ: რა მოხდა? (მაგ., მივაწექი მაგიდას, რა მოხდა? მაგიდა გადაადგილდა); მოიყვანთ კონტრმაგალითსაც (მაგ., მივაწექი კარადას, კარადა არ გადაადგილდა);*
- *ბრძანებების შესრულება – ლექსიკური მარაგის ასათვისებლად და განსამტკიცებლად დაავალებთ მოსწავლეებს მსგავსი მოქმედებების შესრულებას.*
- *მოსწავლეები იხსენებენ საგნების გადაადგილების მაგალითებს პირადი გამოცდილებიდან (შესთავაზეთ კონტექსტები: სახლში დალაგების დროს, ეზოში თამაშის დროს, სპორტულ დარბაზში, ქუჩაში და სხვ.). დაეხმარეთ მოსწავლეებს მაგალითების გახსენებაში, შემდეგ ჩამოწერეთ ყველა იდეა დიდი ფორმატის ქაღალდზე. მომდევნო ეტაპებზე, როცა მოსწავლეები კარგად გაიაზრებენ, რას ნიშნავს მექანიკური მუშაობა, ამ ჩამონათვალს მიუბრუნდებით და მოსწავლეებს შესთავაზებთ მის გაანალიზებას. ამ ეტაპზე ეს სამუშაო ნაადრევია.*

როგორც ამ ნიმუშებიდან ჩანს, ეს აქტივობები ემსახურება ენობრივ მიზანს, სახელდობრ, არაქართულენოვან მოსწავლეს გააგებინოს, რას ნიშნავს სიტყვა „გადაადგილება“ და აათვისებინოს იგი, რათა შემდეგ შესაძლებელი გახდეს ისეთი საგნობრივი ცნების გაგებაზე მუშაობა, როგორიცაა „მექანიკური მუშაობა“, რომელიც გულისხმობს ძალის ზემოქმედებით ობიექტის გადაადგილებას.

თითოეული თემის გზამკვლევი შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან:

**გზამკვლევის პირველ ნაწილში** მოცემულია სიტყვათა ბანკი, ანუ ძირითადი ლექსიკა, რომლის ათვისება-განმტკიცებას ხელი უნდა შეუწყოს თემის შესწავლამ. ეს ცხრილი, საგნის მასწავლებლის გარდა, განკუთვნილია ქართული ენის მასწავლებლისთვისაც, რომელსაც შეუძლია წინმსწრებად ნახოს, რა ენობრივი ცოდნა დასჭირდება მოსწავლეს, რომამ მიმართულებით მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატაროს.

**გზამკვლევის მეორე ნაწილში** ცხრილის სახითაა წარმოდგენილი თემის მთლიანი გეგმა. სასწავლო თემა იგეგმება შემდეგი კომპონენტების გამოყენებით: **საკვანძო ცნებები –** ცნებების სახითაა განსაზღვრული ის საგნობრივი ცოდნა, რომელსაც უნდა დაეუფლოს მოსწავლე თემის ფარგლებში; **საკვანძო შეკითხვები** აღვიძებს მოსწავლის ცნობისმოყვარეობას და მის წინარე ცოდნას უკავშირებს თემის ფარგლებში დასამუშავებელ ცნებებს. საკვანძო კითხვები, როგორც ვექტორები, თემის სწავლა-სწავლების პროცესს შედეგისკენ მიმართავს; **შეფასების ინდიკატორები** სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ მოცემული თემის შესწავლისას. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით შეიძლება შემუშავდეს კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

**გზამკვლევის მესამე ნაწილში** წარმოდგენილია თემის ეტაპებად დაჯგუფებული მიმდინარე და შემაჯამებელი აქტივობები, რომლებიც გამოყოფილია საკვანძო კითხვების მეშვეობით.

**ლალი თვალაბეიშვილი**

## ახალი ამბები

# სახელმძღვანელო დიასპორისთვის

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, საზღვარგარეთ არსებული საკვირაო სკოლებისათვის შექმნილი სახელმძღვანელოს წარდგინება გაიმართა. მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, **დავით ზალკალიანმა**, განათლების მინისტრის მოადგილემ, **ირინე აბულაძემ**, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა, **გიორგი კეკელიძემ** და საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა, **რატი ბრეგაძემ**. წარდგინების დროს პირდაპირი ჩართვა მოეწყო ბარსელონას საკვირაო სკოლის მოსწავლეებთან, რომლებიც აღტაცებით შეხვდნენ სახელმძღვანელოს გამოცემას.




აღსანიშნავია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაიწყო „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელება, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს განათლების სამინისტრომ საზღვარგარეთ არსებული საკვირაო სკოლებისთვის მოამზადა ქართული ენის ინტეგრირებული პროგრამა, რომელიც გულისხმობს, ქართული ენის კურსის ფარგლებში, სწორედ საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიის და კულტურის საკითხების სწავლებასაც გაერთიანებული სწავლების პრინციპით. საკვირაო სკოლებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო სწორედ ამ ინტეგრირებულ პროგრამაზე დაყრდნობით შეიქმნა. სახელმძღვანელოს ავტორია **მაია მელიქიძე**.

დავით ზალკალიანი: *„საზღვარგარეთ 84 საკვირაო სკოლა და 11 ქართული ენის შემსწავლელი კურსი ფუნქციონირებს, რომელშიც 3000 მდე 6-14 წლის ბავშვი სწავლობს. 2017 წელს, საგარეო საქმეთა სამინისტრომ, დიასპორის წარმომადგენელთა მაღალი ჩართულობით, შეიმუშავა სტრატეგიული დოკუმენტი „ერთიანი ძლიერი და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორა“, რომლის მიზანია დიასპორის ერთიანობის, სიძლიერისა და სამშობლოსთან მუდმივი კავშირის გაძლიერების უზრუნველყოფა“.*

**რევაზ თოფურია**

## Hüquqşünas məsləhəti

**Yüksək dağlıq ərazisində yerləşən ictimai məktəbin müəllimiyəm, tam saat yüküm olsa da, əmək haqqıma əlavə verilmir. Müəllimlik hüququnu bakalavr diplomu ilə əldə etmişəm. Düşünürəm, bəlkə bu əlavənin verilməsi üçün magistr diplomu yaxud da daha yüksək kvalifikasiya lazımdır?**

Yüksək dağlıq ərazisində yerləşən ictimai məktəb müəlliminin əlavəsi müəllimin təhsilindən və ya kvalifikasiyasından asılı deyil və ya da ki, iş stajından. Yüksək dağlıq ərazisində yerləşən ictimai məktəb müəlliminin əmək haqqına əlavə, tam saat yükünün olduğu halda, 142 lari dəyərində müəyyənləşdirilir.

**Birinci dəfədən intizam xətasına görə işdən azad edilirmi?**

Bəli. Törədilən intizam xətasının ağırlığından asılıdır. Qanuna əsasən, intizam cəzasını şamil etdikdə, törədilən intizam xətasının məzmunu, ağırlıq dərəcəsinin nəticəsi nəzərə alınmalıdır ki, bu da intizam xətasının birbaşa səbəbkarıdır. Gürcüstanın Orqan Qanununa – Əmək Məcəlləsinin 37-ci maddəsinin "z" yarımmadəsinə əsasən, işçi tərəfindən onun üçün fərdi əmək müqaviləsi ilə və ya kollektiv müqaviləsi ilə və ya daxili əmək intizamnaməsi ilə üzərinə götürdüyü öhdəliyin kobud pozuntusu müqaviləyə xitam verilməsinin əsasını təşkil edir.

**Artıq 5 ildir ki, məktəbdə müəllim işləyirəm. Mənə məlum olduğu kimi, müqaviləm müddətsiz hesab edilir, amma direktor hər yeni dərs ilində mənimlə bir illik müqavilə bağlayır. Onun bu hərəkəti doğrudurmu?**

Gürcüstanın Orqan Qanununa – Əmək Məcəlləsinə əsasən, əmək müqaviləsinin 30 aydan çox müddətə bağlanıldığı yaxud da iki və ya üç dəfə ardıcıllıqla bağlanıldığı və müddəti 30 aydan çox olduğu halda, müddətsiz əmək müqaviləsinin bağlanıldığı hesab edilir. Mövcud əmək müqaviləsi onun müddətinin keçdiyindən və ya növbəti müddətli əmək müqaviləsinin birinci müqaviləsinin müddətinin keçdiyindən 60 gün ərzində bağlanıldığı halda, müddətli əmək müqaviləsi ardıcıllıqla bağlanılmış hesab edilir. Sözügedən müddətlərə sizin əmək müqaviləsinizdə əməl edildiyi halda, müqaviləniz müddətsiz bağlanılmış hesab edilir. Bu halda, direktorun sizinlə hansı müddətə müqavilə bağladığının əhəmiyyəti yoxdur, çünki müddətsiz hesab edilir.

**Sinif-komplekt hansı halda yaradılır?**

Milli Tədris Planına əsasən, kiçik kontingentli məktəblərdə sinif-komplektlərin yaradılmasına icazə verilir və başqa siniflə sinif-komplektlərin yaradılmasında tövsiyə edilir ki, sinif-komplektdə şagirdlərin ümumi sayı 10-dan çox olmasın. Tövsiyə edilir ki, sinif-komplektlər pillənin çərçivəsində yaradılsın və bir sinif-komplektdə ikidən çox sinif birləşdirilməsin.

**Mühasibin Qəyyumlar Şurasının üzvü olması mümkündürmü?**

Xeyr. Qanuna əsasən, mühasib müdiriyyət üzvüdür, məktəb müdiriyyətinin üzvü Qəyyumlar Şurasına üzv ola bilməz.

***Gürcüstan Müəllimləri və Alimlərinin Azad Həmkarlar İttifaqının hüquqşünası Eter Kutibaşvili tərəfindən hazırlanmışdır***

***Tərcüməçi – Qızxanım Əhmədova***

## იურისტის კონსულტაცია

**ვარ მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის პედაგოგი, მაქვს სრული დატვირთვა, მაგრამ თანამდებობრივ სარგოზე დანამატი არ მეძლევა. მაქვს ბაკალავრის დიპლომით მინიჭებული მასწავლებლობის უფლება. მაგისტრის დიპლომი ხომ არ არის საჭირო ან უფრო მაღალი კვალიფიკაცია, რომ ეს დანამატი მომეცეს?**

მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის მასწავლებლის დანამატი არ არის დამოკიდებული მასწავლებლის განათლებაზე ან/და კვალიფიკაციაზე, ან/და სამუშაო სტაჟზე. მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის მასწავლებლის თანამდებობრივ სარგოზე დანამატი, სრული დატვირთვის შემთხვევაში, განისაზღვრება 142 ლარის ოდენობით.

**შესაძლოა დისციპლინურ გადაცდომას, პირველივე ჯერზე, სამსახურიდან გათავისუფლება მოჰყვეს?**

დიახ. გააჩნია ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმეს. კანონის თანახმად, დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის შინაარსი, სიმძიმის ხარისხის შედეგი, რაც პირდაპირ მიზეზობრივ კავშირშია ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან, ხოლო საქართველოს ორგანული კანონის – შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დასაქმებულის მიერ, მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია.

**უკვე 5 წელია, სკოლაში ვმუშაობ პედაგოგად. როგორც ვიცი, ჩემი ხელშეკრულება ითვლება უვადოდ, მაგრამ დირექტორი ყოველ ახალ სასწავლო წელს მაინც ერთწლიან ხელშეკრულებას მიფორმებს. რამდენად სწორია მისი საქციელი?**

საქართველოს ორგანული კანონის – შრომის კოდექსის თანახმად, თუ შრომითი ხელშეკრულება დადებულია 30 თვეზე მეტი ვადით ან თუ შრომითი ურთიერთობა გრძელდება ვადიანი შრომითი ხელშეკრულებების ორჯერ ან მეტჯერ მიმდევრობით დადების შედეგად და მისი ხანგრძლივობა აღემატება 30 თვეს, ჩაითვლება, რომ დადებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება. ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები მიმდევრობით დადებულად ჩაითვლება, თუ არსებული შრომითი ხელშეკრულება გაგრძელდა მისი ვადის გასვლისთანავე ან მომდევნო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება დაიდო პირველი ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 60 დღის განმავლობაში. თუ ზემოხსენებული ვადები დაცულია თქვენს შრომით ხელშეკრულებაში, მაშინ თქვენი ხელშეკურება ითვლება უვადოდ. ამ შემთხვევაში, აღარ აქვს მნიშვნელობა რამდენხნიან ხელშეკრულებას გააფორმებს თქვენთან დირექტორი, მაინც უვადოდ ითვლება.

**რა შემთხვევაში იქმნება კლას-კომპლექტი?**

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მცირეკონტინგენტიან სკოლებში, დასაშვებია კლას-კომპლექტების შექმნა. თუ კლასში ერთი ან ორი მოსწავლეა, რეკომენდებულია სხვა კლასთან კლასკომპლექტის შექმნა. კლას-კომპლექტში მოსწავლეთა საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10-ს. კლას-კომპლექტები რეკომენდებულია შეიქმნას საფეხურის ფარგლებში და ერთ კლას-კომპლექტში არ გაერთიანდეს ორ კლასზე მეტი.

**შესაძლოა ბუღალტერი გახდეს სამეურვეო საბჭოს წევრი?**

არა. კანონის თანახმად, ბუღალტერი დირექციის წევრია, ხოლო სამეურვეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს სკოლის დირექციის წევრი.

შედგენილია სპმთპ-ის იურისტის
**ეთერ კუტიბაშვილის** მიერ

## Իրավաբանի խորհրդատվություն

**Ես բարձրալեռ բնակավայրում հանրային դպրոցի մանկավարժ եմ, ունեմ ժամային լրիվ ծանրաբեռնվածություն, բայց ուսուցչի իմ աշխատավարձին չի ավելացվում հավելավճար: Ունեմ բակալավրի դիպլոմով շնորհված ուսուցչության իրավունք: Մտածում եմ, գուցե մագիստրոսի դիպլոմ է անհրաժեշտ կամ ավելի բարձր որակավորում, որ ինձ տրվի այդ հավելավճարը:**

Բարձրալեռ բնակավայրում գտնվող հանրային դպրոցի ուսուցչի հավելավճարը կախված չէ ուսուցչի կրթությունից կամ/և որակավորումից, կամ/և աշխատանքային ստաժից: Բարձրալեռ բնակավայրում գտնվող դպրոցի ուսուցչի աշխատավարձի հետ մեկտեղ, լրիվ ծանրաբեռնվածության դեպքում, հավելավճար է սահմանվում 142 լարիի չափով:

**Հնարավո՞ր է արդյոք, որ կարգապահական խախտմանը, հենց առաջին անգամին հետևի աշխատակցի ազատում աշխատանքից**:

Այո՛: Նայած կարգապահական խախտման ծանրությանը: Ըստ օրենքի, կարգապահական պատժի սահմանման ժամանակ պետք է նախատեսվի թույլ տրված կարգապահական խախտման բովանդակությունը, ծանրության աստիճանի հետևանքը, ինչն ուղիղ պատճառահետևանքային կապի մեջ է թույլ տրված կարգապահական խախտման հետ: Վրաստանի օրգանական օրենքի՝ Աշխատանքային օրենսգրքի 37-րդ հոդվածի «է» ենթակետի համաձայն, աշխատակցի կողմից, անհատական աշխատանքային պայմանագրով կամ կոլեկտիվ պայմանագրով կամ / և աշխատանքային ներքին կանոնակարգով իր վրա դրված պարտավորության կոպիտ խախտումը պայմանագրի լուծարման հիմք է:

**Արդեն 5 տարի է աշխատում եմ որպես ուսուցիչ: Ինչպես գիտեմ, իմ պայմանագիրը համարվում է անժամկետ, բայց տնօրենը յուրաքանչյուր նոր ուսումնական տարի միևնույն է ինձ հետ ձևակերպում է մեկամյա պայմանագիր: Որքանո՞վ է ճիշտ նրա նման վարքագիծը:**

Վրաստանի օրգանական օրենքի՝ Աշխատանքային օրենսգրքի համաձայն, եթե աշխատանքային պայմանագիրը կնքվել է 30 ամսուց ավել ժամկետով կամ, եթե աշխատանքային հարաբերությունը շարունակվում է ժամկետային աշխատանքային պայմանագրերի երկու կամ ավել անգամ հաջորդաբար կնքելու արդյունքում, և դրա տևողությունը գերազանցում է 30 ամիսը, կհամարվի, որ կնքվել է անժամկետ աշխատանքային պայմանագիր: Ժամկետային աշխատանքային պայմանագրերը հաջորդաբար կնքված կհամարվեն, եթե առկա աշխատանքային պայմանագիրը շարունակվել է նրա ժամկետն անցնելուն պես կամ հաջորդ ժամկետային աշխատանքային պայմանագիրը կնքվել է առաջին պայմանագրի ժամկետն անցնելուց հետո 60 օրվա ընթացքում: Եթե Ձեր աշխատանքային պայմանագրում պահպանված են վերոհիշատակված ժամկետները, ապա Ձեր պայմանագիրը համարվում է անժամկետ: Այս դեպքում այլևս նշանակություն չունի, թե տնօրենը որքան ժամանակով Ձեզ հետ կձևակերպի պայմանագիրը, այն միևնույն է համարվում է անժամկետ:

**Ո՞ր դեպքում է ստեղծվում համակազմ դասարան:**

Ըստ Ազգային ուսումնական պլանի, փոքր քանակակազմով դպրոցներում թույլատրվում է ստեղծել համակազմ դասարան: Համակազմ դասարանում աշակերտների ընդհանուր թիվը չպետք է գերազանցի 10-ը: Երաշխավորվում է համակազմ դասարանները ստեղծել աստիճանի շրջանակներում և մեկ համակազմ դասարանում չմիավորել երկու դասարանից ավելի:

**Հնարավո՞ր է, որ հաշվապահը դառնա հոգաբարձուների խորհրդի անդամ**:

Ո՛չ: Ըստ օրենքի, հաշվապահը տնօրինության անդամ է, իսկ հոգաբարձուների խորհրդի անդամ չի կարող լինել տնօրինության անդամը:

*Պատրաստվել է Վրաստանի Մանկավարժների և գիտնականների ազատ արհմիությունների իրավաբան Էթեր Կուտիբաշվիլիի կողմից*

*Թարգմանությունը՝ Զոյա Մխիթարյանի*

სამოქალაქო ინტეგრაცია

# ახალი თაობა სახელმწიფო ენის ცოდნის პერსპექტივას ხედავს

მაკა ყიფიანი

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი **ვუსალ მამედოვი** მარნეულში, სოფელ სადახლოში დაიბადა. მისთვის მშობლიური სოფელი განსაკუთრებულია. ამბობს, რომ იქ შემოდგომაც სხვანაირია, თბილისურისგან განსხვავებული: *„უცებ იფეთქებს ხოლმე ხალასი და მკვეთრი ფერები... ბრჭყვიალებს და თვალს გჭრის... გეუბნება: „ნახე, რა ლამაზი და კარგი ვარო...“*

ოჯახში ოთხნი არიან. მისი ძმა 19 წლისაა და ისიც თსუ-ში სწავლობს. მშობლებმა ქართული არ იციან, ენის არცოდნას საბჭოთა პერიოდს აბრალებს: *„ჩემი მშობლები საბჭოთა პერიოდის თაობაა, როცა ჩვენთან სტუმრად სომხები ან ბერძნები მოდიან, დედ-მამა მათ რუსულად ელაპარაკებიან, მაშინ როცა მე, ჩემ სომეხ და ბერძენ მეგობრებს, ქართულად ვესაუბრები. ეს მნიშვნელოვანი განსხვავებაა“.* – ამბობს ვუსალი.

მოსწავლეობის პერიოდი სადახლოს პირველ სკოლაში გაატარა, წარმატებული მოსწავლე იყო, რასაც ბეჯითად სწავლას უმადლის. როგორც თავად ამბობს, სადახლოს სკოლაში საუკეთესო მასწავლებლები ასწავლიან, მაგრამ, ზოგადად, კარგი პედაგოგები ცოტანი არიან. წუხს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესზე არ იყო მკაცრი კონტროლი, რაც ხშირად მოსწავლეთა არაეფექტური განათლების მიზეზი ხდებოდა. სამწუხაროდ, არ იყო შესაბამისი ზედამხედველობა, რის შედეგადაც მოსწავლეები სათანადო და კვალიფიციურ განათლებას ვერ იღებდნენ: *„მართალია წარჩინებული მოსწავლე ვიყავი, თუმცა ეს უფრო მეტად ჩემი მცდელობის შედეგად დავიმსახურე, ვიდრე მასწავლებლების მეშვეობით. მასწავლებელთა უმრავლესობა ნეპოტიზმით ან კორუფციული გარიგების შედეგად არიან დასაქმებული და, შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფენ სწავლების მაღალ ხარისხს, რის გამოც მხოლოდ და მხოლოდ მოსწავლეები იჩაგრებიან“.*

ვუსალი მეორე კლასიდან რეპეტიტორთან დადიოდა. როგორც ამბობს, მამამისისთვის ბაბუას ურჩევია, ვუსალი ქართულის შესასწავლად კერძო მასწავლებელთან ეტარებინა, რადგან მიაჩნდა, რომ მისი შვილიშვილები, მათ შორის ვუსალი, სკოლაში ქართულს სრულყოფილად ვერ ისწავლიდნენ. *„მაშინ რეპეტიტორი ერთადერთი გამოსავალი იყო. 5-6 რეპეტიტორი შევიცვალე. ბაბუა, რომელიც ჩემი იდეალია, თვლიდა, რომ, ჩემი წარმატება ქართული ენის ცოდნაზე იყო დამოკიდებული როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის გარეთ. ქართული უფრო მეტად ჩემი მცდელობით, სიბეჯითით ვისწავლე, ვიდრე რეპეტიტორთან. მათ ხელი შემიწყვეს ენის დაწყებით დონეზე სწავლაში. ძალიან ბევრს ვმეცადინეობდი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სკოლაში ქართული ენა კარგად ისწავლება მხოლოდ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ სერტიფიცირებული პედაგოგების გაკვეთილებზე“.*

ვუსალს ძალიან მოსწონს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა, როგორც სკოლაში, აქაც წარმატებული სტუდენტია: *„ძალიან მიყვარს ჩემი ფაკულტეტი, მისი აკადემიური პერსონალი და კურსელები როგორც ქართველები, ისე ბერძნები, სომხები, ქისტები და ა.შ. უცხო გარემოში ადაპტირებისთვის საჭიროა სახელმწიფო ენის ცოდნა, როგორც კომუნიკაციის საშუალების და უბრალოდ შენი სამშობლოს ენის, თუმცა თუ ენა სრულყოფილად არ იცი, დიდ პრობლემას არც ეს ქმნის, რადგან ეთნიკურად ქართველი და, ზოგადად, ქართული ენის კარგად მცოდნე სტუდენტები, ყოველმხრივ გიწყობენ ხელს, რომ იზოლირებული არ იყო, უნდათ, ყველა საქმეში მათთან ერთად ჩაერთო. მე ეს ძალიან მახარებს და ამიტომ მიყვარს ჩემი კურსელები“.*

ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამა (1+4), რომელიც ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით ამოქმედდა, ვუსალმა წარმატებით გაიარა და ახლა ის თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია.

ალსანიშნავია, რომ „კვოტირების სისტემის კვლევამ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში“, რომლის მიზანიც იყო შეესწავლა, რამდენად ეფექტურად ხორციელდება პროგრამა და რამდენად შედეგიანი აღმოჩნდა ის, რამდენიმე პრობლემა გამოკვეთა, რომლებზე რეაგირებაც, პროგრამის დახვეწის მიზნით, აუცილებელია. კერძოდ, ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის (1+4) გავლის შემდგომ, სტუდენტთა გარკვეული რაოდენობა ვეღარ გადადის მომდევნო დონეზე, რის გამოც ზოგიერთი არაქართულენოვანი სტუდენტი როგორც ენობრივი, ისე ინტეგრაციის თვალსაზრისით სათანადოდ მომზადებული არ არის. ვუსალი პროგრამის დადებით და უარყოფით მხარეებზე საუბრობს – იდეა მოსწონს, თუმცა პრაქტიკაში მისი ქმედითობის ნაკლებად სჯერა, რასაც, სამწუხაროდ, უპასუხისმგებლო პედაგოგების დამსახურებად მიიჩნევს: *„ერთი წელი ძალიან ცოტაა იმ სტუდენტისთვის, რომელმაც საერთოდ არ იცის ქართული. ერთ წელიწადში მისი ცოდნის დონე ვერ გაუთანაბრდება ქართველი სტუდენტისას. პროგრამის დადებითი მხარე უდავოა: ქართული ენის სწავლა; ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაცია; თანასწორუფლებიან მოქალაქედ ჩამოყალიბება (მხედველობაში მაქვს სახელმწიფო ენის არცოდნის გამო შექმნილი დისკომფორტი ეთნიკური უმცირესობებისთვის).*

*უარყოფითი მხარე ის არის, რომ, სამწუხაროდ, არიან უპასუხისმგებლო პედაგოგები, რომელთა გამოც ამ პროგრამის სტუდენტები იჩაგრებიან. ისინი ვერ ხედავენ საკუთარ თავზე დაკისრებულ დიდ მოვალეობას და პასუხისმგებლობას, ხოლო სტუდენტი, რომელიც ასეთ მასწავლებელთან მოხვდა, იჩაგრება.*

*თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ თუ თავად ადამიანს აქვს მონდომება და მიზანდასახულია, ეს გარემოება, როგორც წესი, მისთვის დამაბრკოლებელი არ უნდა იყოს“.*

სტატისტიკის მიხედვით, გასულ წლებთან შედარებით, იმატა არაქართულენოვანი სტუდენტების ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის სიხშირემ, რაც ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის (1+4) პოზიტიური შედეგია. აღსანიშნავია, რომ არაქართულენოვანი ახალგაზრდები, პროგრამის შექმნამდე, უმაღლესი განათლების მისაღებად სომხეთში ან აზერბაიჯანში მიდიოდნენ, რადგან მათ არ შეეძლოთ ერთიანი ეროვნული გამოცდების ქართულ ენაზე ჩაბარება. *„ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამა ჩვენი „გადამრჩენია“. ჭკვიანი და ნიჭიერი ახალგაზრდა თაობა მოდის და მათ უკვე შეუძლიათ სახელმწიფო ენის ცოდნის პერსპექტივის დანახვა, რაც ძალიან კარგია“.* – ამბობს ვუსალი.



კვლევები ადასტურებს, რომ არაქართულენოვანი ახალგაზრდებისთვის დასაქმების ხელშემშლელი ფაქტორი სახელმწიფო ენის არცოდნაცაა, თუმცა, როგორც ვუსალი შენიშნავს, დასაქმებისთვის ენის არცოდნა ერთადერთი წინაპირობა და კრიტერიუმი არ არის. როგორც ქართველი, ისე არაქართველი სტუდენტებისთვის ერთ-ერთი და მთავარი პრობლემა კვალიფიციური განათლების არქონაა, რადგან დიპლომი ყველაფერს არ წყვეტს!

იგი ზოგად პრობლემებზეც გვესაუბრება. კიდევ ერთი საკითხი ინტეგრაციის პრობლემას ეხება. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, ხშირად 1+4 პროგრამის სტუდენტები თავს დისკრიმინირებულებად გრძნობენ, როგორც ლექტორების და ადმინისტრაციის, ასევე თანატოლი სტუდენტების მხრიდან. თუმცა ვუსალი ამბობს, რომ მსგავსი ფაქტის შემსწრე თავად არასდროს ყოფილა და ის უფრო მნიშვნელოვან პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას. წუხს, რომ არაქართულენოვანი მოსწავლეები და მათი მშობლები ვერ ხედავენ განათლების მიღებით დასაქმების პერსპექტივას. ისინი მიიჩნევენ, რომ სკოლის დამთავრების ატესტატი საკმარისია, იმუშავებენ ხელოსნებად, მკერავებად და ა.შ. ვუსალის აზრით, მასწავლებლებმა არა მარტო საგანი უნდა ასწავლონ, არამედ მშობლებსაც უნდა აუხსნან განათლების მნიშვნელობა: *„აი, ესაა მნიშვნელოვანი. მშობლებმა უნდა გააცნობიერონ, რომ გოგოსთვის სწავლა აუცილებელია, მან უნდა ისწავლოს ქართველ გოგონებთან და ბიჭებთან ერთად. კლასში 30 ბავშვი ვიყავით, მხოლოდ ორმა ჩავაბარეთ უმაღლეს სასწავლებელში, მე და ერთმა გოგონამ, მე 100%-იანი გრანტით მოვხვდი. ორი მოსწავლე ცოტაა, მარტო ბიჭებმა კი არა, გოგონებმაც უნდა ისწავლონ თბილისში, საქართველოს სხვა ქალაქებში, ხელოსნობასა და მკერავობასაც ხომ სჭირდება პროფესიული განათლება“.*

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვუსალს 3-4 წლით სკოლაში მუშაობის სურვილი აქვს სამოქალაქო განათლების მასწავლებლად, მხოლოდ ამის შემდეგ აპირებს, მოსამართლე გახდეს და თსუ-ში იურიდიულ ფაკულტეტზე ლექციები წაიკითხოს: *„მასწავლებლობა იმიტომ მინდა, რომ ვხედავ ჩემს სოფელში რა პრობლემებიცაა. არ მინდა ისე გამოჩნდეს, რომ არავინ სწავლობს ან არ ასწავლის. უბრალოდ, ის, რაც დღეს არის, საკმარისი არაა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი“.*

ახალი ამბები

# სკოლების მშენებლობა გრძელდება

აშშ მთავრობის დაფინანსებით, გორის №9 საჯარო სკოლას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. სკოლა 780 მოსწავლეზეა გათვლილი. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, **ირინა აბულაძემ** რეაბილიტირებული სკოლა მოინახულა.

დასრულდა ახალი სკოლის მშენებლობა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერავოშიც. მინისტრის მოადგილემ მიმდინარე სარემონტო სამუშაოები ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად დაათვალიერა. ახალი სკოლა რამდენიმე კვირაში შევა ექსპლუატაციაში.

ბოლო წლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობის სტანდარტი მნიშვნელოვნად გაზარდა და გაუთანაბრა ევროპულს, შესაბამისად, ნაბეგერავოს სკოლაც ევროპულ ხარისხს შეესაბამება.

თანამედროვე, ვიტრაჟული შენობა 120 მოსწავლეზეა გათვლილი და მის მშენებლობაზე სამ მილიონ ლარამდე დაიხარჯა. სკოლას აქვს აკუსტიკური ჭერი, ვინილის იატაკი, რომელიც მდგრადია და რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში უცვლელ ვიზუალს ინარჩუნებს. სკოლას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს რეგიონული მნიშვნელობის დახურული სპორტული დარბაზი, რომლის ანალოგიც მარტვილის მუნიციპალიტეტში არ არის. დარბაზი 100 მაყურებელზეა გათვლილი და შესაძლებელია ხელბურთის, ფრენბურთის, კალათბურთისა და ფეხბურთის რეგიონული ჩემპიონატების ჩატარება. სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, სკოლა აღიჭურვება ლაბორატორიებით და თანამედროვე სასკოლო ინვენტარით.




სკოლის დირექტორის, **თემურ დანელიას** განცხადებით, ნაგებერავოს სკოლის აშენებით სოფლის მოსახლეობის ყველაზე დიდი სურვილი ასრულდა. ძველი შენობა 1908 წლიდან ფუნქციონირებდა, სკოლა არასტანდარტულ ხის შენობაში იყო განთავსებული, რომელსაც სარეაბილიტაციო სამუშაოები, გასული წლების განმავლობაში, არ ჩატარებია. მოშლილი სასკოლო ინფრასტრუქტურა მოსწავლეების ახლომდებარე საჯარო სკოლებში გადინებას იწვევდა. ახალი სკოლის გახსნის შემდეგ კი, ნაგებერავოს სკოლის მოსწავლეები მშობლიურ სოფელში დაბრუნდებიან და ახალ, ევროპული ხარისხის სკოლაში გააგრძელებენ სწავლას.

კიდევ ერთი სკოლა სოფელ ჭანიეთში გაიხსნა. თანამედროვე სტანდარტებით აშენებული შენობა აღჭურვილია ახალი ინვენტარით, თანამედროვე ტექნიკით, ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისთვის განკუთვნილი ლაბორატორიით, აქვს ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი და ღია სპორტული მოედანი. შენობა ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის – აქვს სპეციალური ლიფტი, პანდუსი, შესაბამისი სველი წერტილები. სკოლის მშენებლობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 507 000 ლარით დაფინანსდა.

სოფელ ჭანიეთის სკოლის ძველი შენობა ამორტიზებული იყო და მოსწავლეთა უსაფრთხოებისთვის, დროებით, ბავშვები ალტერნატიულ, არასტანდარტულ შენობაში სწავლობდნენ. რთულ პირობებში სასწავლო პროცესის მიმდინარეობამ სკოლიდან მოსწავლეთა მასიური გადინება გამოიწვია, მაგრამ ახალი, თანამედროვე ტიპის სკოლის მშენებლობამ, როგორც ნაგებერაოს შემთხვევაში, აქაც სოფლიდან ქალაქში გადაყვანილი მოსწავლეების უკან დაბრუნებას შეუწყო ხელი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთში ახალი სკოლა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, ირინა აბულაძემ გახსნა.

2012 წლიდან დღემდე, საქართველოს მასშტაბით, 48 ახალი სკოლა აშენდა.

„ათასწლეულის გამოწვევის ფონდის“ საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში, 2016-2018 წლებში, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღიჭურვა 58 საჯარო სკოლა. პარალელურად, 33 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

ერთიანი ეროვნული გამოცდები — 2019

# საგამოცდო ტესტების ნიმუშები უცხოურ ენებში

## ინგლისური ენა

**Task 1: You are going to listen to five texts. For each of them answer the two questions given. Mark the correct answer A, B or C. You have 20 seconds to look through the questions. You will then hear the recording twice.**

**Text 1**

**1. Why didn't the brothers surf together?**
A.Their dad wanted so.
B.They liked it this way.
C. They had only one surfboard.

**2. What attacked the speaker when he was in the water?**
A. A shark.
B. A Pilot fish.
C. A dolphin.

**Text 2**

**3. Dorothea Lange's parents encouraged her to**
A. take part in various exhibitions.
B. become a photographer.
C. receive education.

**4. When was Dorothea Lange's first exhibition held?**
A. In 1934.
B.In 1940.
C. In 1945.

**Text 3**

**5. The Terracotta Army is the collection of the sculptures of**
A. the Chinese Emperors.
B. soldiers and horses.
C. one Chinese Emperor's horses.

**6. Who discovered the memorial statues?**
A. Farmers.
B. Generals.
C. Archaeologists.

**Text 4**

**7. Before inventing Coca-Cola, John Pamberton**
A. was a successful pharmacist.
B. fought in the Civil War.
C. had already made a lot of money.

**8. Who is the author of the famous Coca-Cola slogan?**
A. John Pamberton.
B. Griggs Candler.
C. Frank Robinson.

**Text 5**

**9. What was Ekvtime Takaishvili's major goal?**
A. Return the treasure to the Georgian princess.
B. Look after the country's national treasure.
C. Donate the treasure to the British and American museums.

**10. What is the text mostly about?**
A. A Georgian historian and archaeologist.
B. The true owner of the treasure.
C. The government of Georgia.

**Task 2: Read the text. Then read the statements which follow and decide whether they are True (T) or False (F).**

**Stanford University**

Stanford University is a private University in California, approximately 60 km south-east of San Francisco. Due to its academic strength, wealth and closeness to Silicon Valley, it is often cited as one of the world's most prestigious universities. Times Higher Education Magazine recognizes Stanford as one of the world's 'six super brands', along with the Universities of Cambridge, Harvard, MIT* and Oxford. Stanford alumni – its former students – have founded a large number of world-known companies, including Google, Nike, Hewlett Packard, Instagram, Yahoo and LinkedIn. The companies founded by Stanford alumni earn more than 2.7 trillion US dollars annually, an amount equal to the $10^{th}$ largest economy in the world. It has been the 'home' university of 30 living billionaires, 67 Nobel Prize winners, 17 astronauts, 20 Turing Award laureates and many members of the US Congress.

The university was founded in 1885 by Leland and Jane Stanford. By then the Stanfords were already a wealthy and powerful family. Leland Stanford Senior was a Governor of California and US Senator. He was one of the four major investors, known as 'The Big Four,' in the construction of the Central Pacific Railroad. The Stanfords founded the university in memory of their only child, Leland Stanford Junior, who died of typhoid fever at the age of 15 while on a family trip to Italy. The famous words which Leland Stanford Senior said to his wife when they, after that tragic event, returned to America were: 'Now the children of California shall be our children.' The Stanfords donated 40 million USD, today equivalent to more than one billion USD, to the building of the University, which opened its doors to students in 1891. The first student admitted to the University was Herbert Hoover, who later became the 31st President of the USA.

Initially the University was intended for agricultural studies only. Today Stanford's graduate programmes are the most selective in America, which means that students can choose their favourite programme out of a large variety of programmes. The University's 27 departments for Humanities and Sciences, 9 departments for Engineering and 4 departments for Earth, Energy and Environmental Sciences offer both under-graduate and graduate programmes. Law, Medicine, Education and Business have graduate programmes only. The University has a popular nickname, The Farm, which is connected to the fact that its famous founders owned a big horse farm on the territory of the present university campus.8

What really makes Stanford different from any other university is its physical closeness to and excellent business relationships with Silicon Valley, the centre of the computer industry. The University is known worldwide as a centre of innovation and many new ideas in technology. This is due to the fact that many of its students and alumni have a good chance to commercialize their new and original ideas in the numerous companies of Silicon Valley and become successful businessmen. Therefore, it is no surprise that Stanford University is named a 'dream college' by most American students and parents.

*MIT - Massachusetts Institute of Technology

***True (T) or False (F)?***

1. Times Higher Education Magazine recognizes Stanford as the only 'super brand' university.
2. The graduates of Stanford University have established well-known companies.
3. By the time the Stanfords founded the university, their family was of no importance.
4. The foundation of Stanford University is connected to a very sad event.
5. The first student of Stanford University became an important person.
6. The number and type of programmes at Stanford University are limited.
7. The university campus stands on the site of the former horse farm.
8. Close links with Silicon Valley makes Stanford different from other universities.
9. The students of Stanford University have little chance to do well in business.
10. The text is about Leland Stanford's achievements in the industrial development of the USA.

**Task 3: Read the questions (1-8) and find the answers to them in the paragraphs (A-F) of the text. Some paragraphs correspond to more than one question.**

***Which paragraph***

1. has information about the official start of Plant-for-the-Planet movement?
2. mentions that the children, taking part in this movement, are not only from developed countries?
3. states some facts about the elections held in Plant-for-the-Planet?
4. has the name of the project which was carried out by the winner of a well-known prize?
5. mentions thegoal of the Plant-for-the-Planet organisation?
6. has information about the members of Plant-for-the-Planet?
7. could have the title: 'Felix - a confident presenter'?
8. could have the title: 'How the idea started'?

**'Stop Talking. Start Planting.'**

**A.** 'Stop talking. Start planting' are popular words often used by the members of the organisation called Plant-for-the-Planet. It aims at drawing children's as well as adults' attention to the problems of climate change and global warming. The organisation manages projects on environmental protection and encourages children worldwide to plant trees. Its members believe that their effort to make the environment better will, in the future, reduce the effects of climate change and lead to a healthier and safer world. 'Stop talking. Start Planting' is actually a slogan that calls for action as well as for funding.

**B.** In 2007 the idea for Plant-for-the-Planet first came to Felix Finkbeiner, a nine-year-old boy from a small town in Germany. Felix's teacher asked her pupils to prepare a presentation on climate change. Felix searched Google for information and came across the story of Wangari Maathai, a Nobel Peace Prize Winner from Kenya, who had planted over 30 million trees across Africa as part of her project called the 'Green Belt Movement'. Felix liked the idea so much that he decided to make it his lifelong goal to plant trees and restore the forests. In his school presentation, he said to his classmates and teachers that the children could plant one million trees in every country on Earth and a success story followed.

**C.** Soon after that, Felix planted the first tree in his schoolyard. This is when Plant-for-the-Planet movement officially started. By 2008 more than 150,000 trees had already been planted in Germany. The same year, at the International UNEP* children and youth conference in Norway, Felix was elected to the UNEP Board. One year later, Felix attended the UNEP conference in South Korea where he managed to make this idea even more popular. There, Felix was able to gain support from children all around the world. They promised to plant one million trees in their own countries. Felix was already getting more attention from children as well as from sponsors.

**D.** In 2009 Felix Finkbeiner was invited to speak to the United Nations General Assembly in New York. Not many children get this chance. There stood a thirteen-year-old German boy, speaking very confidently about the environmental problems and looking for ways to solve them. 'We have to take our future in our hands'. With these words, Felix addressed the children worldwide and he got their attention! Felix, now a 19-year-old university student in London, continues to be active. He encourages every citizen to plant or sponsor the planting of trees. 'In most southern countries, the planting of one seedling* costs as little as one euro!' says Felix.

**E.** One school-based idea has now expanded into a global network of the children who take part in this campaign and see each tree as a contribution to a safer environment. Many of them are from the developing countries. By the start of 2011, children from 93 countries were already promoting the idea of planting trees in their countries. The same year Germany achieved its goal of planting one million trees. By now, more than 14 billion trees have been planted worldwide and the global tree-planting goal has reached one trillion!

**F.** The members of Plant-for-the-Planet are called either 'members' or 'ambassadors'. A 'member' can become an ambassador by attending a one-day conference. Members and ambassadors vote online to elect the Youth Global Board, which consists of 14 youths. At present, more than 65,000 children act as 'ambassadors' in their countries and promote the idea of planting trees. In addition to planting trees, the members of Plant-for-the-Planet set up clubs and give presentations all over the world. 'We are part of a worldwide network and spread our vision to our schools, families and friends. These clubs make us one family and we feel at home in every country on earth', say the members of the Plant-for-the-Planet.

*UNEP - United Nations Environmental Programme - გაერთიანებული ერების გარემოს დაცვის პროგრამა. *seedling - ნერგი

**Task 4: Read the text and the questions which follow. For each question mark the correct answer (A, B, C or D).**

*This is a true story about Susannah Rodgers, a British Paralympic swimmer.*

Susannah Rogers, often called 'Susie' by her fans, is a professional athlete, Paralympic Gold medalist and multiple European and British record holder in different swimming styles. She has won a total of 30 international medals including 17 Gold medals! Susie competed at two Paralympic Games*. At the London 2012 Paralympic Games she won three Bronze medals. In 2016 at the Rio de Janeiro summer Paralympic Games, Susie won a gold medal and became a Paralympics champion. This was the biggest achievement of her life! Susie Rogers was born in 1983 in England. She was born without a fully formed arm and leg on the left side of her body. Susie first learned to swim as a child. She, at this time, was not thinking of becoming a professional swimmer. This interest came later. 'When I was 25 years old, I watched the British team at the 2008 Summer Paralympics and got inspired by the swimmers. I thought I could also be one of them!' said Susie in one of her interviews.

